# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 სექტემბერი, 2014 წელი.

№174-176 (7557)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


გაალიზიანე და მოიგე!

# გამოლომით ჩვენ ვართ, გალმით შენ, და ენას გვიყოფ სარფიდან?!





**როგორც დაკვირვებული მაყურებელი შეამჩნევდა, ამ ბოლო დროს „რუსთავი-2“-მა ჯიბეგახვრეტილი ხალხის მოსყიდვის, ყოველ შემთხვევაში, გულის მოგების ახალი, ეშმაკური ხერხი მოიგონა** — გააცინე და მოიგეო, თანხა კარგა გვარიანია. გაცინებისა კი რა მოგახსენოთ, როგორც თვითონ ჟიურის ორ იუმორისტ წევრს, ისე მაყურებელს, სატელევიზიო პროექტის მონაწილეთა უბადრუკ ანგლობებზე უფრო ეცინება, ვიდრე თვითონ იუმორზე, მაგრამ რას იზამ, ხომ გაგიგონიათ, გაჭირვებამ კაცი დედოფალთან დააწვინაო, ასი და ორასი ლარი, მით უმეტეს ოთხასი და ათასი ცოტა თანხა არ არის უპოვარი და უქონელისთვის. ათასს, მართალია, ჯერჯერობით მაინცდამაინც ხშირად არ აგებინებენ, მაგრამ მოგებულიც და წაგებულიც სცენიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთი-ორი წუთი დგას და ცაში აჰყავს „რუსთავი-2“, რომელიც ასე ქირქილნარევი სიცილ-სიცილითა და ხარხარხარხარით „ებრძვის“ სიღარიბესა და სიღატაკეს საქართველოში.

ეს ამჟამინდელი ხელისუფლების წინააღმდეგ ერთგვარად შეფარვით მიმართული პროექტი ამ დღეებში შემოქმედებითად გამოიყენა „რუსთავი-2“-ის ერთმმართველმა პატრონმა, ძებნილმა ექს-პრეზიდენტმა, დემოკრატიის ნაშუქურალმა საკანთ ბიჭმა, რომელმაც სარფის გაღმა (აქამდე მეტროთი მოსულმა) თათარიახნად გაშლილ ტაბლასთან შეკრიბა თავისი ათასგვარი დემაგოგიითა და პროვოკაციით შეიარაღებული შეთხელებულ-შეფერთხილი ლაშქარი და უკვე ახალი რუბრიკით — „გააღიზიანე და მოიგე“ ნაციონალების ერთმანეთზე გადაბმული კარგა გვარიანად წანკლიანი ენა სარფის აქეთ დარჩენილთ გამოგვიყო, ანუ კიდევ ერთი უსუსური შოუ დადგა — აგერ, ა, ბატონო, ორ ნაბიჯზე ვარ, თუ რამის თავი გაქვთ, მომიმწყვდიეთ სათაგურშიო... თანაც თავის თავგადაკლულ თანაგუნდელებთან ერთად სათაგურის ყველიც გემრიელად შესანსლა....

ერთი სიტყვით, გაცინებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ „რუსთავი-2“ რომ ხალხის საეჭვოდ გაღიზიანების გზას დაადგა და ხშირად წარმატებითაც ახერხებს ამას, თანდათან აშკარა ხდება...

ჩვენ ერთი კარგი მულტიპლიკაციური ფილმი „წუნა და წრუწუნა“ უკვე გვაქვს, ვითომ საჭიროა მხატვრული ფილმიც, რომლის გადაღებასაც, როგორც ჩანს, „რუსთავი-2“ ეპირება?.. არადა, სარფის სუფრასთან თამადის ადგილას წამოსკუპებული და ქართველი ხალხის სიდუხჭირეზე ყასიდად გულმტკივნეულად აწრუწუნებული სააკაშვილი საოცრად ჩამოჰგავდა ზემოხსენებული მულტიპლიკაციური ფილმის წრუწუნას, რომელსაც ციხის კედლების სალესად გამზადებულ გვერდებს შეხმატკბილებულად უმშვენებდნენ დამარცხებას ვერა და ვერ შეუგებული, ავად გაჯიუტებული წრუწუნები. ერთი კია, იმათ შორის არ ჩანდა „რუსთავი-2“-ის მთავარი წრუწუნა, გვარამიანთ ცხრა თოკზე გადამხტარი პროკურორ-დირექტორი, რომელიც აგრერიგად დამუქრებულად შეგვპირდა ცოცხლად ჯოჯოხეთის მოწყობას.

ეტყობა, საქართველოს პროკურატურამ რაც შეიძლება მალე უნდა გაიჩინოს ცოტა უფრო ყოჩაღი ფისოები, რათა დროულად წასწვდნენ სარფს გაღმა ჩვენკენ ავად გამოყოფილ წუპაკ ენაში ქვეყნის შიგნითაც და უკვე ქვეყნის გარეთაც წითელი ცირკულარით ძებნილ საქვეყნო ცოდვებით დახუნძლულ დედისერთა ვარსკვლავწრუწუნას.

აქ, ალბათ, ურიგო არ იქნება, არც იმ ძველი ქართული ანდაზის გახსენება, რომელიც ამბობს, ერთმა წუნკალმა წრუწუნამ ასკოკიანი ქვევრი წაბილწაო...

**გურამ წიკლაური**


თემის გაგრძელება

იხილეთ მე-3 გვ


## კოსოვოს აღიარებამ საქართველოც დაშალა! ⑥

## ხოცვა-ჟლეტა ისლამის სახელით? ④

— მარკესი ნარუქად —

## ნოსტალგიასა და „სხვა დემონებზე“ ⑦





## სიცილ-თერაპევტები



ლუი დე ფიუნესი, ჩარლი ჩაპლინი, ჯიმ კერი, ევგენი ლეონოვი და სხვები... ⑧

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიანჩალიანი

## ღარიბაშვილს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე ელიან

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალურ ასამბლეის სპეციალურ სესიაზე „მოსახლეობისა და განვითარების შესახებ საერთაშორისო კონფერენციის სამოქმედო პროგრამის შესრულების საკითხებზე“ სიტყვით 22 სექტემბერს გამოვა.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ



დავით ზალკალიანმა განაცხადა, საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით 21-30 სექტემბერს ნიუ-იორკში, გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის მუშაობაში მიიღებს მონაწილეობას.

მისივე ინფორმაციით, 23 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი მეუღლესთან ერთად მიწვეულია გაეროს ასამბლეის 69-ე სესიისადმი მიძღვნილ საზეიმო მიღებაზე, რომელსაც აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და პირველი ლედი მიშელ ობამა მასპინძლობენ. საზეიმო სალამოს გენერალურ ასამბლეაში მონაწილე ქვეყნების დელეგაციების ხელმძღვანელები და მათი მეუღლეები დაესწრებიან.

ზალკალიანის თქმით, 24 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 69-ე სესიის გენერალური დებატების გახსნას დაესწრება, ასევე სიტყვით გამოვა საერთაშორისო ეკონომიკური ალიანსის მიერ ორგანიზებულ მეშვიდე ყოველწლიურ გლობალურ საინვესტიციო სიმპოზიუმზე.

პრემიერ-მინისტრი ასევე მიწვეულია ლანჩზე, რომელსაც გაეროს გენერალური მდივანი დელეგაციების მეთაურების პატივსაცემად მართავს, ხოლო დღის ბოლოს ღარიბაშვილი სიტყვით მიმართავს ინდონეზიის მიერ ორგანიზებული მაღალი დონის ღონისძიების — „ღია მმართველობა პარტნიორობა“ მონაწილეებს.

ამასთან, 23 სექტემბერს ირაკლი ღარიბაშვილი კლიმატის ცვლილებების შესახებ გაეროს სამიტზეც გამოვა სიტყვით.

ნიუ-იორკში ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ასევე ორმხრივი შეხვედრებიც.

## ჩვენი პროდუქცია ევროპის ბაზარზე საბაჟო გადასახადის გარეშე გადის

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა განაცხადა.

მისი თქმით, ორშაბათიდან დაიწყო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების კონკრეტული მუხლების დროებითი გამოყენება შეთანხმების 431-ე მუხლის საფუძველზე. მისი თქმით, ძალაში შევიდა ასოცირების შეთანხმების დაახლოებით 80% ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის ჩათვლით.

მინისტრის მოადგილის განცხადებით, „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“ სრულად დაკარგავს ძალას ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის თარიღიდან. ამისათვის კი საჭიროა ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა ყველა ქვეყნის ეროვნულმა საკანონმდებლო ორგანოებმა დაასრულონ რატიფიკაციის პროცესი.

მისი თქმით, ამ კუთხით დღეისათვის საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება რატიფიცირებული აქვთ რუმინეთს, ლიტვას, ლატვიასა და ბულგარეთს, ხოლო ქართული მხარე ელოდება, რომ მომავალში მათ შეუერთდებიან ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნებიც.

## პარლამენტის შენობაში საპრეზიდენტო ფლიგელი „პროფილს“ იცვლის

თბილისში, პარლამენტის შენობის B-ფლიგელში გამოყოფილი ე.წ. პრეზიდენტის სართული ექსკლუზიურად პრეზიდენტისთვის აღარ იქნება განკუთვნილი. დაგეგმილია პარლამენტის შენობის ამ ნაწილის რეკონსტრუქცია და მაღალი რანგის სტუმრების მისაღებად იქნება გამოყენებული.

პარლამენტის სპიკერმა დავით უსუფაშვილმა ჟურნალისტებთან ერთად „პრეზიდენტის სართულიც“ დაათვალიერა და როგორც განმარტა, თავად პრეზიდენტის ინიციატივით, აღნიშნული სართული დაკეტილი აღარ იქნება და გამოყენებული იქნება მაღალი რანგის სტუმრების მასპინძლობისთვის.

თბილისში პარლამენტის მუშაობისას, შენობის ეს ნაწილი მუდმივად დახურული იყო — ის მხოლოდ იმ განსაკუთრებულ შემთხვევებში იხსნებოდა, როცა პრეზიდენტი პარლამენტს სტუმრობდა ან მისი ხელმძღვანელობით პარლამენტში მაღალი რანგის სტუმრები მოდიოდნენ. ამ ფლიგელში მუშაობდა პარლამენტის თავმჯდომარე მაშინ, როცა პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა.



თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის განახლებულ შენობაში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გუშინ ჟურნალისტებს მეგზურობა თავად გაუწია. ჟურნალისტებთან ერთად დაათვალიერა ბიუროს ოთახი, სასესიო დარბაზი, ილია ჭავჭავაძის, პირველი რესპუბლიკის დარბაზები, კინოდარბაზი, დეპუტატების სამუშაო კაბინეტები, ასევე ახალი საკომიტეტო ოთახები, მედიაცენტრი, სადაც სარემონტო სამუშაოები დასრულდა და ახალი ტექნიკური აპარატურით აღიჭურვა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარლამენტს ქუთაისი არ მიუტოვებია.

დავით უსუფაშვილის თქმით, კონსტიტუციის შესაბამისად ქუთაისი კვლავ რჩება პარლამენტის ადგილსამყოფელად, სადაც გაიმართება პლენარული სხდომები, ასევე კომიტეტის სხდომებიც.

კითხული კაცის აზრი

# ცივილიზებული სამყარო მძიმე განსაცდელშია

**უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე, სავარაუდოდ, თუ როგორ აისახება უკრაინის მოვლენები ახალ პოლიტიკურ სეზონში საქართველოს საშინაო პოლიტიკაზე „ინტერპრესნიუსი“ დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო სოსო, არ გვინდა, დავარღვიოთ ტრადიცია და მოახლოებული ახალი პოლიტიკური სეზონის მოლოდინებზე, პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებზე თქვენთან ვისაუბროთ. თუმცა, ვიდრე ამ თემას შევეხებით, უპრიანი იქნებოდა საუბრის სწორედ უკრაინის თემით დაწყება, რადგან რუსეთმა უკრაინის აღმოსავლეთში სამხედრო ნაწილები შეიყვანა და კრემლი ღიად დაადგა უკრაინის ანექსიის გზას. თქვენ როგორ შეაფასებდით ბოლო დღეებში უკრაინაში განვითარებულ პროცესებს?**



— უკრაინაში სიტუაციის შეფასებას სჭირდება ყოველ საათში ახალი ანალიზი, რადგან შესაძლოა, სამი საათის წინ ნათქვამი აღარ შეეფერებოდეს ცვალებად რეალობას. არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის ჯარის მიერ უკრაინის ტერიტორიაზე აზოვის ზღვიდან შეტევა და ქალაქ ნოვოაზოვსკის დაპყრობა, გარკვეული გამოცდა იყოს, რომელსაც რუსეთი უტარებს დასავლეთის პოლიტიკოსებს.

ვერ ვიტყვი, რომ ეს არის ფართო ფორმატით წამოწყებული ომი, მაგრამ საომარი მოქმედება სახეზეა. ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავად უკრაინა იკავებს თავს საომარი მდგომარეობის გამოცხადებისგან, რადგან ასეთ შემთხვევაში ვერ მიიღებენ შესაბამის დახმარებას სხვა სახელმწიფოებისგან. საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის იარაღის მიწოდება ომში მონაწილეობას ნიშნავს. უკრაინის ხელისუფლება დასავლეთის იმ ქვეყნებისგან დახმარებას ელოდება როგორც იარაღით, ისე ტექნიკით, რომლებსაც ასეთი მზაობა აქვთ.

შემთხვევითი არ იყო 29 აგვისტოს აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვედრა ჟურნალისტებთან თეთრ სახლში. მან განაცხადა, რომ აშშ არ ჩაებმება საომარ მოქმედებაში. მან უპასუხოდ დატოვა კითხვა, დაეხმარება თუ არა აშშ იარაღით უკრაინას.

თავისთავად ისიც მისანიშნებელია, რომ პრეზიდენტ პოროშენკოს განცხადებების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც მან მოითხოვა გაეროს უშიშროების საბჭოს სასწრაფოდ შეკრება, რაც შედგა კიდეც, მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმადაც, რუსეთისა და უკრაინის გენერალური შტაბები გაცვლიან ტყვეებს და ერთობლივად დაიცავენ რუსეთ-უკრაინის საზღვარს. რამდენად სანდოა რუსეთი, როგორც მოლაპარაკების მხარე, ეს ყველაზე კარგად იცის თავად უკრაინამ, კარგად იციან საქართველომ, მოლდოვამ.

**— რუსეთი კი აცხადებს, რომ ჩემი ჯარები უკრაინაში არ შესულაო, მაგრამ სხვადასხვა მონაცემებით, რუსეთიდან უკრაინის ტერიტორიაზე 15 ათასი ჯარისკაცი და 1000-ზე მეტი სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკაა შესული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი უკრაინასთან გრძელვადიანი ომისთვის ემზადება... შეძლებენ თუ არა დასავლეთი და აშშ უკრაინის სახელმწიფოს რუსული ანექსიისაგან გადარჩენას და საერთოდ, „სლავური სამყაროს“ აღდგენის მოტივით რუსული იმპერიის აღდგენისთვის კრემლის ქმედებების შეჩერებას?**

— უკრაინაში რუსეთის ქმედების გამო ცივილიზებული სამყარო მძიმე გამოცდის წინაშეა. უკვე აღარავისთვის არ არის გაკვირვების საგანი ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლება, კერძოდ, ვლადიმერ პუტინი წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს მთელი პლანეტისთვის.

შეძლებს თუ არა დასავლეთი გარკვეული ქმედებების შემდეგ პუტინის ოდნავ აზრზე მოყვანას, არ არის დამოკიდებული მხოლოდ უკრაინაში შექმნილ ვითარებაზე. დედამიწაზე კიდევ რამოდენიმე ცხელი წერტილია, სადაც რუსეთის და დასავლეთის ინტერესები განსხვავებულია. ერთ-ერთი ასეთი ცხელი პოლიგონი გახლავთ ერაყი და სირია.

ჯერჯერობით, თავის ქმედებებში ყველაზე მკაფიო პოზიცია უკავია ნატოს, მიუხედავად იმისა, რომ მისი ხელმძღვანელი უახლოეს დღეებში ფორმალურადაც შეიცვლება. რასმუსენის განცხადებები რომ საპნის ბუშტი არ არის, უახლოეს მომავალში ვნახავთ, ამის დასტურია ის, რომ საკუთარ ქვეყანაში ნატოს ბაზების განლაგების წინააღმდეგი აღარავინ არის.

**— რუსეთის ვიცე-პრემიერმა დიმიტრი როგოზინმა განაცხადა, რომ თუ დასავლეთი რუსეთს ხელს შეუშლის მის მოქმედებებს უკრაინაში, რუსეთი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს. ანუ, მოსკოვი დასავლეთს ეუბნება — თუ შემიშლით ხელს უკრაინის ტერიტორიების მიტაცებაში, ბირთვულ იარაღს გამოვიყენებ. ხომ არ შეიძლება ითქვას, რომ უკრაინაში**



**რუსეთის მოქმედება იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიოში გავლენის სფეროებისა და გადანაწილებისთვის ბრძოლა პრაქტიკულად დაწყებულია?**

— ახლა ჩვენ სირაქლემის როლში არ უნდა ჩავდგეთ და არ უნდა დავიწყოთ მტკიცება, რომ ასეთი საფრთხე არ არსებობს. მით უმეტეს მაშინ, როცა ამის საბაბი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ უკრაინა, არამედ დედამიწაზე არსებული სხვა ცხელი წერტილები.

არის მეტ-ნაკლებად დამამშვიდებელი გზავნილიც. ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩინეთს ეხება, რომელმაც სასწრაფოდ შეკრებილ გაეროს უშიშროების სხდომაზე ღიად არ დაუჭირა მხარი რუსეთის ელჩის შეთავაზებებს, გააფრთხილებინათ უკრაინა, რომ მას სასწრაფოდ შეეწყვიტა საბრძოლო მოქმედებები. ჩინეთმა ორივე დაპირისპირებულ მხარეებს მოუწოდა, შეეწყვიტათ საომარი მოქმედებები. ეს გვაფიქრებინებს, რომ ასე ცალსახა თუნდაც ამ კონკრეტულ ვითარებაში ჩინეთის პოზიცია ნამდვილად არ იქნება. რაც შეეხება სერიოზული, მასშტაბური საომარი მოქმედებების დაწყებას, როგოზინს ჭკუა ნამდვილად არ დაუშლის. თუ ადამიანს რამე არ აქვს, ის ფაქტორი მას ქმედებაში ხელს ვერ შეუშლის. ისიც ფაქტია, რომ ანტიპუტინისტების წინააღმდეგ საფრთხობელად გამოყენებულია სწორედ როგოზინი. საქართველოში, როგორც ნაცმოძრაობა არის გამამტკიცებელი ძალა „ქართული ოცნების“, ასევეა რუსეთში როგოზინი პუტინის ხელისუფლების სიმყარის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორც შემდეგი პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი.

**— ისეთი პირი უჩანს, უკრაინაში მიმდინარე პროცესები სერიოზულად აისახება საქართველოს როგორც საქართველოს საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაზე. ყოველ შემთხვევაში, ამის ალბათობა რომ საკმაოდ მაღალია, აშკარაა. თქვენ როგორ დაახასიათებდით უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე ახალი პოლიტიკური სეზონის წინ საშინაო პოლიტიკაში არსებულ ვითარებას. მოვლენათა განვითარების თვალსაზრისით რა მოლოდინები შეიძლება გვქონდეს?**

— არსებობს ფორმულა, რომ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს მისი საშინაო პოლიტიკის გაგრძელებას. უნდა გვადარდებდეს, თუ უნდა გვიხაროდეს ის, რომ საქართველოსთვის ეს ფორმულა არ მუშაობს, ამაზე შესაძლოა, განსხვავებული მოსაზრებები არსებობდეს. ჩვენი საგარეო პოლიტიკა ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე საშინაო. ის ვერ დახასიათდება, როგორც საშინაო პოლიტიკის გაგრძელება. მრავალი ფაქტორი იმის დასტურად, რომ საშინაო პოლიტიკის წარუმატებლობას ქრონიკული ნიშნები აქვს. იმდენად გაჭიანურდა ურთიერთობების გარკვევა ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის, რომ ბევრი სერიოზული საკითხი გადაუჭრელი რჩება. ეს კი ქვეყანას აზიანებს, წინსვლა შიდასახელმწიფოებრივ საკითხებში ძნელად შესამჩნევია და ახლა უნდა ვეცადოთ, რომ ყოველივე ეს ნეგატიურად არ აისახოს საგარეო პოლიტიკაზეც. საუბარი იმაზე, რომ ჩვენ გვაქვს რაიმე ფუფუნების უფლება საკუთარი ნება-სურვილის გამოხატვით და სახელმწიფოში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედებით მეტი საფრთხე შეუქმნათ ქვეყანას, იქნებოდა სრულიად არაბუნებრივი და მეტიც, ქვეყნისათვის ზიანის მომტანი.

ასეთ საკითხთა რიცხვს შეიძლება, მივაკუთნოთ აბსოლუტურად გაუგებარი და არაადეკვატური ურთიერთობის ფორმატი პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შორის. დიდი იმედი მაქვს, რომ ადამიანი, ვინც დათესა ეს გაუგებრობა, თავადვე მიხვდება, რომ უნდა სძლიოს სიჯიუტეს და იმოქმედოს როგორც ისეთმა ღირსეულმა მოქალაქემ, როგორადაც დაგვამახსოვრა საკუთარი თავი განვლილი 2-3 წლის განმავლობაში.

**კობა ბენდელიანი**

# მიწყნარებული ანაკლია და ბრანწი სარფიდან



**ყველაფერს აქვს დასასრული და კაზანტიპის რესპუბლიკაც ჩაბარდა პატრონს, ანუ ძუყნურელი ბრეგვაძისა არ იყოს, გავიდა მარილზე.**

**გასრულდა ათდღიანი მღელვარება, რამაც კინაღამ ძირი გამოუთხარა საქართველოს ნორჩ, ქარში ლერწამივით მოქანავე სახელმწიფოებრიობას და მორალს.**

**მადლობა უფალს, გადავრჩით! არ შემდგარა მეორედ მოსვლა, ღმერთს ცეცხლითა და წუნწუბით არ შეუმუსრავს ანაკლიაში სოდომი და გომორი.**

**პლაჟზე მოკვინტრიშე გოგოებს და ბიჭებს სატანა არ დაუფლებია, ქალები მასობრივად არ დაორსულებულან და არც ქალწულობა მიუტანიათ კაზანტიპის ცოდვილ საკურთხეველზე ასევე მასობრივად. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სტატისტიკა ჯერჯერობით არ ჩანს. ის კი ცნობილია, რომ ამ მოკლე დროში ასამდე წყვილმა გადაწყვიტა ოჯახის შექმნა.**

**ერთი სიტყვით, ისეთი არაფერი მომხდარა, რაც არ მომხდარა ბათუმის თუ ქობულეთის სანაპიროზე — სასტუმროს ნომრებში, კარვებსა თუ ბუჩქებში.**

დაცვას არ უპოვია არც ერთი ცალი ნახმარი შპრიცი და, მადლობა უფალს, არც თვითონ ჩაუდია ვინმესთვის ნარკოტიკი. ქართულ
პოლიცია ხაზგასმულად
მხოლოდ „ანტრე, ბატონოზე
იყო მომართული.

დაცხრა ვნებათაღელვა
შეწყდა ანაფორიანი თუ უანა
ფორო საპროტესტო აქციებ
დაისვენა ერმა და ბერმა.

კი, ალბათ, ყირაზე გადადი
ოდნენ ატეხილ-ახურებულ
თინეიჯერები და უფრო დარ
ბაისელი მოქალაქენი, მაგრა
მათთვის სულაც რკინის ხელ
რომ აგვეფარებინა, ვითომ რა
მეს მივაღწევდით? დათა თუ
თაშხია ძალიანაც რომ გაქაჩულიყო, კიკუ მაინც გაიხდიდა.

> **კი, ალბათ, ყირაზე გადადიოდნენ ატეხილ-ახურებული თინეიჯერები და უფრო დარბაისელი მოქალაქენი, მაგრამ მათთვის სულაც რკინის ხელი რომ აგვეფარებინა, ვითომ რამეს მივაღწევდით? დათა თუთაშხია ძალიანაც რომ გაქაჩულიყო, კიკუ მაინც გაიხდიდა.**

**კიკუ იმის კიკუა, უნდა გაიხადოს, ოქროსთვის თუ უოქროოდ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, პარადოქსი ის არის, რომ თუ მოვლენების მსვლელობაში არ ჩაერევი, შეიძლება არც გაიხადოს.**

ერთი სიტყვით, ვისაც სურდა, იხდიდა, ვისაც არ სურდა, არ იხდიდა.

არ ყოფილა არც ერთი შეკივლება (არც გოგოსი და არც ბიჭის), მიშველეთ, ძალით მიშვებიანო. არ გაუსწორებიათ არც ერთი ცხვირ-პირი.

**ყველა თავისას გიჟობდა, ოღონდ არაკრიმინალურად.**

დღეს ანაკლიაში სიმშვიდემ დაისადგურა, დღეს ანაკლიაში მოგებული ლარების დათვლის კურთხეული ჟამია.

ვინ მოგებას ითვლის, ვინ წაგებას ანგარიშობს სისხლის ცრემლებით.

წაგებაში არიან კაზანტიპის ორგანიზატორები — ღონისძიებაში ნავარაუდევი 30 ათასის ნაცვლად 5 ათასამდე კაცმა მოიყარა თავი, მძლავრმა ანტიკაზანტიპურმა ტელე-რადიო-აქცია-მსვლელობიანმა პროპაგანდამ, იავნანისა არ იყოს, თავისი ჰქმნა — ძალიან ცოტანი, ხაზგასმულად ცოტანი იყვნენ ლამის ანათემასგადაცემული ქართველი ახალგაზრდები.

იმანაც დაიდო წილი, რომ საქართველოში რუსეთიდან შემოსვლა ჭირდა.

მერე იყო და, მშობლიურმა ბიზნესმა ისეთი მგლური მადა გამოიჩინა, ბიზნესზე ჭიპმოჭრილი მსოფლიო გაოცა:

**„კოიკა“ დღეში 100 ლარი ღირდა, სოფელში კი, სადაც სააბაზანო ოთახს კარიც არ ჰქონდა — 50 ლარი;**

**მარილწყალში ჩამბალი მაკარონით გამომცხვარი ხაჭაპური — 20 ლარი;**

**ერთი ყლუპი „კოკა-კოლა“ — 6 ლარი;**

**შოთი — 2 ლარი...**

**ერთი სიტყვით, ყველამ გაკეთება მოინდომა.**

ეს ველური ალებ-მიცემობა იმდენად თვალის და თავისმომჭრელი იყო, რომ ბიზნესმენ-ფლიბუსტიერებმა თვითონ შეკრიჭეს ყალყზე მდგარი ფასები, მაგრამ პრინციპში უკვე გვიან იყო.

ოღონდ ნათქვამია, ყველაფერ ცუდს, რაღაც სიკეთეც ახლავსო.

**ბოლოს და ბოლოს, ჩვენი „ბიზნესმენები“ ჩახვდნენ ოქროს წესს: სჯობს 10 ცალი ჯანჯუხა თითო ლარად გაყიდო და ალალად და უსაყვედუროდ ჩაიდო ჯიბეში 10 ლარი, ვიდრე ცალი 10 ლარად დააფასო და ათივე უკან წაიღო...**

და, ყველაფრის მიუხედავად, მთავარი: **როგორც ირკვევა, ამ საქმეში გამოუცდელი საქართველოს არასტუმართმოყვარეობის მიუხედავად, კაზანტიპი აქედან არ წავა, გაისადაც ანაკლიაში გაიმართება!**

* * *

არის ასეთი ზღაპარი: მზეთუნახავმა ვაჟს პირობა მისცა, თუ ისე დამემალები, რომ ვერ მოგაგნებ, ცოლად გამოგყვებიო.

ვაჟი ჯერ არწივმაააფრინა ცაში და ღრუბლებს მოაფარა, მერე თევზმა ჩააყვინთინა ზღვის ფსკერზე, ქორბუდამ კი ცხრა მთას იქით გამოქვაბულში მიმალა, მაგრამ მზეთუნახავი, თითქოს ჭიკაიძის უწყებასთან ყოფილიყო შეკრული, სარკეში ჩაიხედავდა და უმალ თვალს მოჰკრავდა ხოლმე.

ბოლოს მელია-კუდაგრძელიამ ითავა დამალობანას საქმე: გვირაბი გათხარა და ვაჟი სწორედ იმ ტახტის ქვეშ ამოსვა, რომელზეც მზეთუნახავი იჯდა. ატრიალა სარკე ქალმა, დახოცა ჭიკაიძის ბიჭები აქეთ-იქით სირბილით, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ...

ზღაპრის სიბრძნე ასეთია: ქვეყანას რომ შეაჯერებ რაიმეს ძებნით, ერთხელ უკანალზეც ჩამოისვი ხელი.

ოდესღაც „ბუნების კარში“ წაკითხული ეს ზღაპარი გამახსენა შაბათს, 30 აგვისტოს „რუსთავი-2“-ის საღამოს კურიერში ნანახმა სიუჟეტმა: საპოვნელად შიდა ძებნისთვის გადაცემულ და ინტერპოლით ძებნისთვის გახაზირებულ ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სარფის საბაჟოდან ორ მეტრში გზაზე ლურჯი სუფრა გაეფინა და თავის სამკვდრო-სასიცოცხლოდ ყურმოჭრილ თანამოაზრეებთან ერთად ამ ჩვენს ხელისუფლებას ბრანწს, ანუ სამი თითის კომბინაციას უჩვენებდა.

ლურჯ სუფრას უსხდნენ დეპუტატ-ექს-პრორექტორი სერგო რატიანი, შავ-ყვითელა ზურაბ მელიქიშვილი, მუდამ დაბღვერილი გოკა გაბაშვილი, აჭარის ყოფილი ფაშა-ეფენდი ლევან ვარშალომიძე, უკვდავი „მიშა მაგარიას“ ავტორი გოგა ხაჩიძე და სხვა ნაცნი, მგონი, ლოდისაგან გამოთლილი, მრავალგზის ნაგვემი ნუგზარ წიკლაურიც.

> **მიშა იჯდა ბოლმის ბუკეტივით და თავის შავბნელ ფიქრებს ცრემლებივით აწვიმებდა საიდუმლო სერობის მონაწილეთ.**

მიშა იჯდა ბოლმის ბუკეტივით და თავის შავბნელ ფიქრებს ცრემლებივით აწვიმებდა საიდუმლო სერობის მონაწილეთ.

ეს იყო იდეური ძმების პირველი არალეგალური პოლიტიკურ-სათანაგრძნობო შეხვედრა საზღვარგარეთ. იქნებ ყრილობაც კი. ბოლოს და ბოლოს, ჩინეთის კომპარტიის პირველი ყრილობა მაო ძედუნის თავმჯდომარეობით ნავზე გაიმართა და თუ არ ვცდები, სულ 12 კაცი ესწრებოდა.

მაგრამ სარფის კონფერენცია მცირერიცხოვნობით დასტურ არ დაიწუნებოდა: თითოეული მათგანი შანსპეპელობით ნაცმოძრაობის მთელ იმ მირიად ორგანიზაციებს აღემატება, 2012 წლის შემდეგ მთხლესავით რომ წავიდნენ ხელიდან.

მიშამ მკაცრად, მაგრამ გულისტკივილით აღნიშნა, რომ ამ ბოლო ორ წელიწადში აჭარაში არც ერთი მსხვილი მშენებლობა არ დაწყებულა, ამჟამინდელი ინფრასტრუქტურა ჩვენი დატოვებულია, არაფერი მომატებიაო. მე არ მამოძრავებს არავითარი პოლიტიკური ამბიცია, არავის მიმართ ბოღმა არ მაქვს, მაგრამ რომ არ ვთქვა, არ შემიძლია: რატომ აკნინებენ პრეზიდენტის და თავდაცვის მინისტრის ინსტიტუტებს? რა ამბავია ამხელა რიგი სარფის საბაჟოსთან? მაინცდამაინც ახლა მოუნდათ პროგრამის შეცვლა? ამან გამოიწვია მანქანების ეს უზარმაზარი რიგები („რუსთავი-2“ აქ ოპერატიულად ჩაერთო: საზღვრის გადაკვეთის მსურველთა რიგი 4 კილომეტრს აღემატება და მისი ბოლო კვარიათს უწევსო). კარგი, მე არ მიშვებენ კოსტიუმების ყიდვისთვის (მიშამ აქ ნართაულად, ოღონდ გამჭვირვალედ მიანიშნა ამასწინანდელი ყბადაღებული და მართლაც სამარცხვინო 7 კოსტიუმის ფრიალი ტელეეკრანებზე, აქაოდა პრეზიდენტმა ისინი სახელმწიფო სახსრებით იყიდაო), მაგრამ ხალხს რას ერჩიან, ისინი შვილების სარჩოს საშოვნელად მიდიან თურქეთშიო **(აქ ექს-პრეზიდენტს ცოტა იაღლიში მოუვიდა: თითქოს ნაცმოძრაობის რეჟიმის დროს ქართველები თურქეთში მხოლოდ ანტალიაში მზეზე მისაფიცხებლად მიდიოდნენ)**. საქართველო მხოლოდ წინ უნდა ვიდოდეს, ახალი ინიციატივები უნდა წამოვიდეს, ახალი პოლიტიკური ჯგუფები უნდა გამოჩნდნენ რათა ახალი პერსპექტივები გამოიკვეთოს...

ყველამ, ვისაც არ მოსწონს ქვეყნის მთავარი გზიდან აცდენა, უახლოეს კვირებში გამოხატოს თავისი პოზიციაო...

ა. შ. და ა. შ.

აშკარაა, ექს-პრეზიდენტი ახალ რევოლუციას გეგმავს, ოღონდ დარწმუნებულია, რომ ნაცმოძრაობის ძველი, ანუ არსებული პოლიტიკური ჯგუფი სულს ღაფავს, გოგა ხაჩიძისა და კობა ხაბაზის იმედით რესტავრაცია გაჭირდება და ახალი სისხლის გადასხმაა საჭირო.

**ერთი სიტყვით, სტრატეგიისა და ტაქტიკის გადაწყობ-გადაწებების ეს განწირული სულისკვეთება, მომაკვდავის რეანიმაციის ცდა იყო და რამდენად წაადგება საქმეს პრაქტიკულად, ვარდუა მკითხავიც ვერ იტყვის.**

**პანაშვიდის შემდეგ მიშამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ხალხში გავიდა (ალბათ, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ იმ აჟიტირებული ადამიანების უმეტესობა მიშას ყოფილი კლაკიორები და სარფში საგანგებოდ თავმოყრილი იყო). ეს მონატრებული მასებში გასვლა მისთვის უდავოდ მაცოცხლებელი იყო! თვალებანთებული ქალების მიერ ლამის პრეზიდენტობის დროინდელმა მცხუნვარე ჩახუტებებმა და ცრემლებმაც კი, მამაკაცების მიერ მანუგეშებელ-„არ შეშინდეს“ სტილის გადაკოცნებმა, სარფს გაღმა უკვე გასული ხალხის (საიდუმლო სერობა სწორედ სარფის თურქულ ნაწილში გაიმართა) ტაშმა გაამხნევა ნირწამხდარი ექს-პრეზიდენტი, მაგრამ რამდენად სწორად გაზომა მან გონების თვალით მანძილი სარფიდან თბილისამდე, სწორედ გულთმისნის გასასიგრძეგანებელია.**

**დრო გვიჩვენებს!**

**ალეკო ასლანიშვილი**



# ხოცვა-ჟლეტა ისლამის სახელით?

## ქართველი მუსლიმანები რელიგიას ამოფარებულ ექსტრემიზმს ემიჯნებიან



**მზარდი რელიგიური ექსტრემიზმისა და ძალადობის პასუხად საქართველოს მუსლიმანთა რელიგიურმა ორგანიზაციებმა მშვიდობიანი გაერთიანების დეკლარაციას მოაწერეს ხელი.**

**For.ge სრულიად საქართველოს შეიხს რამინ იგიდოვს ესაუბრა.**

**— დეკლარაციაზე ხელმოწერა ვისი იდეა იყო?**

— მსოფლიოში, კონკრეტულად, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებით მთელი მსოფლიო აღშფოთებულია. რა თქმა უნდა, საქართველოში მცხოვრები მუსლიმანებიც ასე უბრალოდ ვერ გავჩერდებოდით. ამიტომ სრულიად საქართველოს მუსლიმანთა სამმართველოს ხელმძღვანელებმა გადავწყვიტეთ, ამ თემასთან დაკავშირებით განცხადება გაგვეკეთებინა. ასევე, რელიგიურ სფეროში მოქმედმა ორგანიზაციებმაც სურვილი გამოხატეს, ხელმოწერით დაედასტურებინათ, რომ უარს ამბობენ ძალადობაზე, ექსტრემიზმზე, ისინი მშვიდობის დეკლარაციას აწერენ ხელს. ერთიანობას ვამტკიცებთ საქართველოში, რადგან წლების განმავლობაში სწორედ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმანებს შორის, მიუხედავად გარკვეული ტრადიციული მიმდინარეობისა, არანაირი პრობლემა არ ყოფილა. არ ყოფილა დაპირისპირება, არამედ ძმურად, მეგობრულად ვცხოვრობდით და ამის მაგალითი გვინდა, ვაჩვენოთ მთელ მსოფლიოს.

**— ერაყისა და ლევანტის მუსლიმანური სახელმწიფო კონკრეტულად რა პრობლემებს შეუქმნის განსხვავებული მიმდინარეობის მუსლიმანებს? ამასთან, საქართველოზე როგორ აისახება მათი გაძლიერება, რადგან კავკასია, მათ შორის, საქართველოც მოხვდა მათ მიერ შედგენილ რუკაზე.**

— რა თქმა უნდა, საინფორმაციო საშუალებით, ასევე, ინტერნეტპორტალებით შევიტყვეთ, რომ ლევანტისა და ერაყის ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების წევრებმა კავკასიასაც მუქარა შემოუთვალეს, მაგრამ ჯერჯერობით კონკრეტულ საფრთხეზე ვერაფერს ვიტყვი. ეს ღონისძიება იმის დასტურია, რომ საქართველოში ყველა მუსლიმანს მოვუწოდებთ, ერთიანად ვიყოთ, ტრადიციული ისლამით ვიცხოვროთ, რადგან ის პრობლემები, რაც დღეს მსოფლიოშია, სწორედ იმის გამოა, რომ ისინი ჯგუფებად დაიყვნენ და იდეოლოგიურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თუ დღეს ჩვენ ერთად ვიქნებით, ეს პრობლემა არც საქართველოს და კონკრეტულად, არც კავკასიას არ დაემუქრება.

**— ამ ეტაპზე ეს საფრთხე უფრო ისლამისტებისკენ არის მიმართული, თუ ქრისტიანებისკენ?**

— ყველანი იმ ფაქტს მოვესწარით, რომ ამ დღეებში ერაყში ეროვნებით იეზიდები გაჟლიტეს, დახოცეს და ასევე, რამდენიმე ეკლესიაც, რომელთაც ჩვენ, მუსლიმანები ღვთის სახლად ვთვლით და პატივს ვცემთ, დაანგრიეს და გაანადგურეს. მსოფლიოში რელიგიური ექსტრემიზმი მზარდია. ამაზე მიუთითებს ამ რელიგიური დაჯგუფების — ერაყისა და ლევანტის მუსლიმანური სახელმწიფოს გააქტიურება და მათ მიერ გაცხადებული სურვილი, შექმნან ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფო. აღნიშნული ორგანიზაცია საკუთარი გავლენის გაფართოებას სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმანთა გადაბირებითა და მათი კონსოლიდაციით ცდილობს.

ამ ექსტრემისტული იდეის განხორციელებას დღეს უამრავი ადამიანის სიცოცხლე ეწირება ერაყსა და ღაზას სექტორში. მათი აგრესიული განაცხადები უკვე მოისმინეს ჩვენმა მოქალაქეებაც, როდესაც რამდენიმე დღის წინათ ამერიკელ ჟურნალისტზე შურისძების კადრები იხილეს. ჟურნალისტის მკვლელობას ჩვენ ვგმობთ, ის ადამიანი თავის სამუშაოს ასრულებდა და საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიდა. იგი მოკლეს, მაგრამ, ასევე, დავამატებ იმას, რომ იქ ყოველდღე ასობით, ათი ათასობით ადამიანი იხოცება, რომელთაც არანაირი ბრალი არ მიუძღვით. ისე, უბრალოდ ხოცავენ ამ ადამიანებს და ეს ყველაფერი ხდება ისლამის სახელით. ამ დროს კი ისლამი სიყვარულს, მეგობრობას და ერთიანობას ქადაგებს. ეს ყველაფერი დასაგმობია და ჩვენ ამას ვერ დავმალავთ. რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, ჩვენ, როგორც მუსლიმანთა სამმართველო, ტრადიციულ ისლამს ვქადაგებთ და ვზრუნავთ მის გამყარებაზე, მაგრამ, სადაც აგიტაცია-პროპაგანდის ნაკლებობას განიცდის რეგიონები, სოფლები ან დასახლებები, ამ სიცარიელით ეს დაჯგუფებები, მათი წარმომადგენლები სარგებლობენ და იქ თავიანთ იდეოლოგიას ავრცელებენ, რაც სამწუხაროა.

**— ანუ კავკასიაში მათი საყრდენი სუნიტური ისლამის ერთ-ერთი მიმდინარეობა — ვაჰაბიზმია?**

— რა თქმა უნდა, კავკასიაში მათ საყრდენად ვაჰაბიზმი იგულისხმება.

**— საქართველოში ისლამური ოთხი ანკლავია, სადაც მუსლიმანები არიან დასახლებულნი-აჭარა, პანკისი, აფხაზეთი და ქვემო ქართლი. რა საფრთხეები შეიძლება შეიქმნას ამ ოთხ ანკლავში საქართველოსთან მიმართებით?**

— სადაც არატრადიციული ისლამი შემოდის, ეს სიცარიელის ბრალია, რადგან ამ ადგილებში ტრადიციული ისლამის გავრცელების, განათლების პრობლემაა.

**— ისლამური სახელმწიფო 15 ათას მებრძოლზე მეტს აერთიანებს. მათი საფუძველი რა არის — არასწორად გაგებული ისლამი? რამდენად მზარდია ეს რიცხვი და შესაძლებელია, ქრისტიანული ქვეყნებიც მოექცეს მათი გავლენის ქვეშ, როგორც ეს მათ რუკაზე ჩანს? ისინი არც მალავენ, რომ როცა ისლამი იბადებოდა, გარშემო იყვნენ სულ ქრისტიანებით დასახლებული ქვეყნები — ერაყი, სირია და თანდათანობით მუსლიმანებმა ისინი თავიანთ რჯულზე მოაქციეს.**

— რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, რატომ ერთიანდებიან მათ მხარეს, ამის მიზეზი ისაა, რომ როდესაც რელიგია არაზუსტად იქადაგება და ადამიანებს თავისებურად ასწავლიან, ისინი ფანატიკოსები ხდებიან, მათ კარგად არ ესმით რელიგიის არსი, ველარ აზროვნებენ, რეალობას ვერ ამჩნევენ, ამიტომ არიან ერთად, მყარად დგანან ერაყისა და ლევანტის მუსლიმანური სახელმწიფოს გარშემო. ვინც მათი ზეგავლენის ქვეშ ექცევა, მათ რელიგიაზე წარმოდგენა არ აქვთ, იქ მათ უხსნიან არასწორ რელიგიას და ფანატიკოსებად აქცევენ. მოგვიანებით ამ ადამიანებს ვერაფერს აუხსნი. რაც შეეხება ქრისტიანული სახელმწიფოების მათი გავლენის ქვეშ მოქცევას, მათი ერთ-ერთი იდეოლოგიაა, რომ მსოფლიოში არ უნდა არსებობდნენ სახელმწიფოები, მათი აზრით, ღმერთს სურს, მხოლოდ ერთი მისი სასურველი სახელმწიფო იყოს — ისლამისტების სახით, ეს იქნება ღმერთის სასურველი სახელმწიფო, რომელსაც, ღმერთი მართავს.

**მანანა ნოზაძე**

◎ ალიანჩალიანი

### სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



**საქართველოს** შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვახტანგ კაპანაძემ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას, თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელი წარუდგინა.

შერჩევის საბჭოს გადაწყვეტილებით, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტს პოლკოვნიკი არსენ ცუხიშვილი უხელმძღვანელებს. მას 2009-2013 წლებში გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილის პოზიცია ეკავა. 2014 წლის 1 იანვრიდან დღემდე გენერალური შტაბის მრჩეველთა ჯგუფის მრჩევლად მუშაობდა.

სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი კახაბერ ჩიხრაძე კი ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილის თანამდებობას დაიკავებს. ეროვნულ გვარდიაში იგი სამობილიზაციო და რეზერვის სისტემის მხარდაჭერის შემუშავებაზე იმუშავებს.

### კიწმარიშვილის საქმეზე კიდევ ერთი ექსპერტიზა ჩატარდება

**ზურაბ კიწმარიშვილის** თქმით, ბოლო ექსპერტიზის შემდეგ, გამოძიებას ანალიზისთვის გარკვეული დრო დასჭირდება, რის შემდეგაც, გამოძიების პირველადი სურათი გახდება ცნობილი. რაც შეეხება გამოძიების გაჭიანურებას, როგორც ზურაბ კიწმარიშვილმა აღნიშნა, ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ დრომდე, დაახლოებით 300 ადამიანი დაიკითხა.

— ასევე ამოღებულია ვიდეომასალები და ინფორმაცია, კომპიუტერიდან, ტელეფონიდან და პლანშეტიდან. გამომძიებლები ამბობენ, რომ ძალიან ყურადღებით, ნელა და დაკვირვებით სწავლობენ ამ ყველაფერს. აქედან გამომდინარე, არის საფუძველი, რომ დროში გაიწელოს გამოძიება, — განაცხადა ზურაბ კიწმარიშვილმა.



რაც შეეხება დარჩენილ ერთ ექსპერტიზას, მისი ინფორმაციით, დათვალიერება ჩაუტარდება ავტომობილს, რომელშიც ეროსი კიწმარიშვილი გარდაცვლილი იპოვეს.

კერძოდ, უნდა ჩატარდეს ვიზირება, რომელიც ავტომობილში ტყვიის ტრაექტორიას დაადგენს. ექსპერტიზაში დამოუკიდებელი ექსპერტებიც იქნებიან ჩართულები.

ინტერპრესი

◎ კაკალ გულში

### ჭოროხდალეულებს მეხი დაეცათ?

წერცილოვანი თიხაზები

● ინფრასტრუქტურის მინისტრის მრჩევლად რომ სტომატოლოგი დანიშნა ახალმა მინისტრმა, ვისაც არ მოგწონთ გეტყვით, რომ:

1. გზებზე პლომბის დადებაში რჩევას მისცემს!
2. „ხიდის" გაკეთება იცის!
3. ბურღვა იცის!
4. და ამ ყველაფერს საზოგადოებას პოპულარულ ენაზე აუხსნის!

თქვენ კიდე იძახით ნეპოტიზმიო.




● მიშა მოვდივაარ!

პროსტა ვიზას არ მაძლევენ, ბანკში ვარ გაშავებული, თორე, რა ჯობია მიშასთან ერთად მსოფლიოში წანწალს!

● თეა წულუკიანი უნდა გადადგეს!!!

როდესაც შენი უწყების მაღალი თანამდებობის პირი 3 ახალგაზრდის მკვლელია და თანაც ნაცმოძრაობის წევრია, ეს ნიშნავს, რომ საკადრო პოლიტიკა არ გივარგა...

● კაზანტიპის ფესტივალი ამაზრზენი კადრით დასრულდა. — ვიღაცა გოგომ, ვიღაცა ბიჭს, ლოყაზე აკოცა!

სხვათა შორის, ფესტივალის დღეებში, საქართველოს უკაზანტიპო სივრცეში, რამდენიმე ადამიანი მოკლეს, რამდენიმე ადამიანი დაჭრეს, რამდენიმე „კაცია ადამიანი?!" სარფში შეხვდა ერთმანეთს და რამდენიმე სტიქიური, თუ ტრაგიკული ამბავიც მოხდა.

სხვათა შორის, ორი კვირის განმავლობაში, ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების, სამღვდელოების და გაჭირვებული ხალხის ალყაში მოქცეულმა, კაზანტიპის პრეზიდენტმა ნიკიტა მარშუნოკმა, ღობის აქეთა მასპინძლებისგან განსხვავებით, წონასწორობაც შეინარჩუნა, ღირსებაც და იუმორის გრძნობაც...

ეს ყველაფერი, სხვათა შორის, თორემ მე რა...

● ჭოროხდალეულები რავა არიან ნეტა? ღმერთმა მეხის სროლა დაგიწყოთ და ფრთხილად იყავით. ის გამაფრთხილებელი გასროლა იყო ჰაერში. მეორედ არ დაგაცილებთ იცოდეთ.

● „მეფე არტურის და მრგვალი მაგიდის რაინდების" შეხვედრას არავინ შეწინაღმდეგებია აჭარის ამინდის გარდა?!

კარგია...ძალიან კარგი!...ვუთხრათ „ველქამ"... და შიდაძიება გავაგრძელოთ!!!...ჰოი, უბადრუკობავ — საქართველო უნდა გერქვას შენ!

ხვალ „ტროას ცხენით" მოგვადგება!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძე**

საარსებო მინიმუმი

# ყოფა გაიაფებულა, გაიხარე, ხალხო!



**ცხოვრება რომ საამური გამხდარა, ჯერჯერობით „საქსტატმა" იცის...**

**ზოგადად თუ ვიტყვით, სტატისტიკა იმისთვის არსებობს, რომ გარკვეული მოვლენის შესახებ საინფორმაციო პალიტრა სხვადასხვა სახეობის მონაცემებით გაამდიდროს, თუმცა კი, ჩვენში სტატისტიკის ეროვნული სამსახური უფრო რაღაც იდუმალებით მოცულ სექტას, სტატისტიკოსები კი აბდაუბდის საყდრის ქოსატყუილა ქურუმებს ჰგვანან, რომელთა არც ერთი დასკვნა არ დაიჯერება.** მავანმა იქნებ იკითხოს, რატომ ასეთი მწარე ვერდიქტიო? რატომ და, თავად შეგიძლიათ, განსაჯოთ, ბატონო: **საქსტატის მტკიცებით, ბოლო ერთ თვეში შრომისუნარიანი მამაკაცის არსებობისთვის 144 ლარი საკმარისია, ოთხსულიან ოჯახისთვის კი 256 ლარი, ხოლო ექვსსულიანს კი 340 ლარიც ჰყოფნის!** ვიდრე ამასთან დაკავშირებით სხვა რამეს ვიტყოდეთ, აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთი რამ „გაუგებრობის ქურუმებს" არ შეშლიათ: მითითებული თანხები, სწორედ რომ, არსებობისთვის, შიმშილისგან თავის დასაღწევად და არა ცივილიზებული ქვეყნის მოქალაქეების ცხოვრებისთვისაა საკმარისი!

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ბოლო მონაცემებით, ივნისთან შედარებით, ივლისში საარსებო მინიმუმი მთელი 4,9 ლარით და წლის განვლილ პერიოდში მინიმალურ კი ნიშნულამდე შემცირდა. ეს კიდევ რაა – თუკი ივლისის 144-ლარიან მაჩვენებელს აპრილის მონაცემს შევადარებთ, როცა ერთი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმი 155,6 ლარი იყო, ანუ მატერიალური ტვირთი 11,6 ლარითაა შემსუბუქებული, ლამის ავშენებულვართ და ესაა!.

ადრეც არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ საარსებო მინიმუმი სამომხმარებლო სასურსათო კალათის საფუძველზე დგინდება, რომელიც გარკვეული ჩამონათვალის (ცხიმების, ცილებისა და ნახშირწყლების), ასევე კალორიულობის გათვალისწინებითაა შედგენილი, ფასები კი ქვეყნის ხუთი უდიდესი ქალაქის აგრალურ ბაზრებში საშუალო ფასების მაჩვენებლებს წარმოადგენს.

თუ რამდენად შეესაბამება საქსტატის საარსებო მინიმუმის ივლისის მაჩვენებლები სინამდვილეს, ეს ყველას, ვისაც რაღაც სურსათის ყიდვა თუნდაც კვირაში ერთხელ მაინც უწევს, თავადაც შეუძლია, განსაზღვროს. ფერისცვალების დღესასწაულის შემდეგაც კი, როცა, ფაქტობრივად, ყველა სახის ხილი უკვე შემოსულია, მისი ფასი არა თუ არ შემცირებულია, პირიქით ბოსტნეულთან, ხორცთან, რძის ნაწარმთან ერთად დღითი დღე ნელ-ნელა ძვირდება.

საარსებო მინიმუმის დათვლა-დაანგარიშების მეთოდოლოგიის დრომოჭმულობაზე წლებია ვლაპარაკობთ, საქსტატში ამ საკითხზე თითქოს მუშაობენ კიდეც, მაგრამ საქმეს საშველი დღემდე არ დაადგა, რასაც საკითხის სირთულით ხსნიან(?!). ამასობაში კი ეკონომიკური პრობლემების ექსპერტთა ცენტრში ასეთი მეთოდოლოგია უკვე შეიმუშავეს.

თავდაპირველად ექსპერტებმა ქვეყნის მასშტაბით ხუთი ქალაქის – თბილისის, ბათუმის, გორის, თელავისა და ქუთაისის აგრარულ ბაზრებში გარკვეული ნუსხით სურსათის ფასები შეისწავლეს. აღნიშნულ ქალაქთა რიცხვს შემდგომ ხაშური, მარნეული და ზუგდიდი შეემატა. ცენტრის ხელმძღვანელის რამაზ გერლიანის განცხადებით, პროექტის ფარგლებში ვირტუალური სასურსათო კალათა შექმნეს, რომლის ყოველთვიურმა ღირებულებამ „წინასწარი მონაცემებით, ოფიციალურს თითქმის ორჯერ გადააჭარბა და 270 ლარი შეადგინა". ახალი მეთოდოლოგიით, მინიმალური სასურსათო კალათის შემადგენლობის 55 პროცენტი სურსათზე, 45 პროცენტი კი არასასურსათო პირველი მოთხოვნილების საგნებზე მოდის (ამჟამად მოქმედი ოფიციალური მეთოდოლოგიით ეს შეფარდება, შესაბამისად, 70/30-ზე პროცენტია). ისიც უნდა ითქვას, რომ რაკი ჩვენში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ფასები სეზონურად მერყეობს, შესაბამისად, უნდა არსებობდეს ორი – ზამთრისა და ზაფხულის – მინიმალური სასურსათო კალათები.

ეკონომიკური პრობლემების ექსპერტთა ცენტრი ჩატარებული კვლევის შედეგებს აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლების, აგრეთვე სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელობას წარუდგენს. ბატონ გერლიანის თქმით, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესს უდავოდ წაადგება, თუ ცენტრის სპეციალისტთა კვლევის შედეგებს ქვეყანაში სოციალური პოლიტიკის, მათ შორის, მინიმალური ხელფასის, პენსიის თუ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის დაგეგმვის დროს გამოიყენებენ და ეს რეალური საარსებო მინიმუმის გათვალისწინებით ხდებოდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია

# ნუ გეშინიათ, ზარალი აგინაზღაურდებათ!

**ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკური პირისთვის გამოყოფილი იქნება 30 ათასი ლარი, ხოლო კოოპერატივისათვის – 50 ათასი ლარი.**

1 სექტემბრიდან ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო აგროდაზღვევის საპილოტე პროგრამა ამოქმედდება, რომელიც 2015 წლის 1 სეტემბრამდე იმუშავებს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა **ოთარ დანელიამ** მედიასთან საუბრისას განაცხადა: **„ეს იქნება საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს გარკვეულ დაფინანსებას აგროდაზღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, აგროდაზღვევა გავრცელდება ყველა პროდუქტზე და სუბსიდირება განხორციელდება 70%-დან 90%-მდე, ზოგ შემთხვევაში კი – 95%-მდეც. თანადაფინანსებას სახელმწიფო განახორციელებს".**

2014 წელს პროგრამის ბიუჯეტი 5 მილიონი ლარია, პროგრამაში ჩაერთვებიან ის სადაზღვევო კომპანიები, რომელთაც ამის სურვილი ექნებათ. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე „აგროდაზღვევის" პროდუქტი მხოლოდ ორ კომპანიას „ჯიპიაი ჰოლდინგს" და „ალდაგი ბისიაის" გამოაქვს. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში აგროდაზღვევა ახალი ხილია და ამ მიმართულებით სადაზღვევო კომპანიები მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში გააქტიურდნენ, ამიტომ ეს სფერო ჯერჯერობით სულაც არ არის მომგებიანი სადაზღვევო კომპანიებისათვის. ამავე დროს, დაზღვევის მიმართ უნდობლობა გლეხებსა და ფერმერებს შორისაც შეინიშნება.

ახალი საპილოტე პროგრამის დეტალებში გარკვევა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს **გიგლა აგულაშვილს** ვთხოვეთ, რომელიც აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროექტის შემუშავებასა და განხილვაში.

**„საპილოტე პროგრამა ჩვენი კომიტეტის წევრებთან და სადაზღვევო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად შევიმუშავეთ. სხვათა შორის, სასიხარულოა, რომ ამ პროექტით დაინტერესებულია ერთ-ერთი გერმანული ბანკი, რომელიც განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენელია და რომელიც აქ შემოსვლას აპირებს. ჯერჯერობით ისინი კვლევას ატარებენ და ამ კვლევის შემდეგ გადაწყვეტენ, რამდენად საფუძვლიანია მათი ინტერესი ჩვენი სადაზღვევო ბაზრისადმი. ვფიქრობ, რომ ეს კვლევა სულაც არ არის შემთხვევითი, როგორც ჩანს, ისინი ხედავენ ამ ბაზრის განვითარების პერსპექტივებს და მათთვის მისაღებია ის, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში ხდება. ეს საკმაოდ ძვირი კვლევაა – 200 ათასი ევრო ჯდება. რა თქმა უნდა, ამ კვლევის შედეგები ჩვენთვისაც საინტერესოა და მათთვისაც. ვფიქრობ, რომ თუ ისინი ბაზარზე შემოვლენ, ეს კიდევ უფრო გააუმჯობესებს მდგომარეობას ქართულ სადაზღვევო ბაზარზე. ეს ამ ბანკის წარმომადგენლებს მისცემს სტიმულს, რომ უფრო მეტი საინტერესო პროდუქტი შესთავაზონ მომხმარებელს".**

**რას სთავაზობს აგროდაზღვევა ფერმერებს?**



**– გაგრძელდება თუ არა ეს პროგრამა ერთი წლის შემდეგ?**

– ეს არის პროექტი, რომელიც სექტემბრიდან ამოქმედდება და ითვალისწინებს ფერმერთა ძალიან დიდი ნაწილის სატკივარს, რომ მათ როგორღაც დააზღვიონ თავიანთი მოსავალიც და ქონება. ჩვენი გლეხები და ფერმერები ყოველწლიურად ზარალდებიან სტიქიური მოვლენების გამო, აგროდაზღვევა კი დაფარავს მათ ზარალს, თუმცა, შესაძლოა, ყველა სახის ზარალი ვერ დაფაროს. ზარალის ასანაზღაურებლად ფიზიკური პირისათვის გამოყოფილ იქნება 30 ათასი ლარი, ხოლო კოოპერატივისათვის – 50 ათასი ლარი. სადაზღვევო პრემიის სუბსიდირება მოხდება სახელმწიფოს მიერ, სუბსიდირების პროცენტი საკმაოდ მაღალია – საშუალოდ 80-დან 90-მდე, შეიძლება მეტიც იყოს, იმის მიხედვით, თუ რომელი სახეობის პროდუქტის დაზღვევა ხდება. საპილოტე პროექტი სულ მცირე, ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება, ჩვენ დავაკვირდებით, მივიღებთ გამოცდილებას, ვნახავთ მასში რაიმე ხარვეზები ხომ არ არის, ან რისი გაუმჯობესება შეიძლება და პარალელურად დავიწყებთ კანონპროექტის განხილვასაც, ინიცირებას კი პარლამენტში მოვახდენთ. რადგან სადაზღვევო სექტორის წარმომადგენლებს, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წევრებსაც მიგვაჩნია, რომ გრძელვადიანი რეგულაციების კანონით დარეგულირება გაცილებით სტაბილურ ვითარებას შექმნის ამ სფეროში.

**– კიდევ რა სფეროს შეეხება ეს პროგრამა?**

– მართალია, ეს აგროდაზღვევის პროექტია, მაგრამ ჩვენ ასევე ვმუშაობთ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზეც. მომავალი წლიდან სეტყვის საწინააღმდეგო სისტემებიც უნდა შეიქმნას. ეს ყველაფერი რისკებს შეამცირებს, მაგრამ პრობლემა მაინც რჩება და ამიტომ დაზღვევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია რისკებისაგან თავის დასაცავად. სახელმწიფო ფერმერს სთავაზობს დაზღვევას და საკმაოდ მსუყე სუბსიდირებას, რომელიც ზარალის მიყენების შემთხვევაში 75%-ზე მაღალია, ზოგ შემთხვევაში კი ზარალი 90%-საც დააფინანსებს. იმედია, რომ ფერმერებიც დაინტერესდებიან ამ პროექტით. ამასთან, აგროდაზღვევა სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ განადგურებული მოსავალი უნდა ანაზღაურდეს, აქ ლაპარაკია მეტი ცოდნის, უფრო მეტი ტექნოლოგიური მიღწევის შემოტანაზე სოფლის მეურნეობაში. ლაპარაკია აგროვადების დაცვაზე და საერთოდ, აგროკულტურის გაუმჯობესებაზე ქვეყანაში. ერთი წლის განმავლობაში დავაკვირდებით და მერე გადავწყვეტთ, პროგრამა ამ ფორმით დარჩება, თუ შეიცვლება. ყველაფერი შეთანხმებულია სადაზღვევო სფეროს წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, საპილოტე პროექტი მთავრობამაც მოიწონა და ის სულ მალე ამოქმედდება.

**ხათუნა ჩიგოგიძე**

ალიანჩალიანი

## მოქალაქეებს შეეძლებათ, კერძო კომპანიებს სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა მოსთხოვონ

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატში განუცხადეს. 1 სექტემბერიდან მოქალაქეებს საშუალება აქვთ, კომპანიას ნებისმიერ დროს მოსთხოვონ მათი მონაცემების გამოყენების შეწყვეტა, ანუ მათთვის სარეკლამო შეტყობინებების გაგზავნის შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც განხორციელდა პირდაპირი მარკეტინგი. თავის მხრივ, კომპანიები ვალდებულნი არიან მოქალაქის მომართვიდან 10 სამუშაო დღეში შეწყვიტონ მონაცემთა დამუშავება, დანერგონ შეტყობინებაზე უარის თქმის გამარტივებული ფორმა (ნაცვლად წერილობითი განცხადებისა), მოქალაქეებს მისცენ საშუალება არასასურველი შეტყობინების მიღებაზე უარი თქვან იმავე ფორმით, რა ფორმით განხორციელდა მარკეტინგი ან გამოიყენონ სხვა ხელმისაწვდომი და ადეკვატური საშუალება, მაგალითად, მიუთითონ შესაბამისი სატელეფონო ნომერი ან ვებ-გვერდი, სადაც შესაძლებელი იქნება შეტყობინებების მიღებაზე უარის თქმა.**




# კოსოვოს აღიარებამ საქართველოს დაშალა!

## საქართველო ურთულესი არჩევნის წინაშე: ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი

**არსებული პოლიტიკური ვითარებისა და მისი მაკონტროლებელი ძალის რუსეთის პოზიციებიდან გამომდინარე, როცა საქართველოს სეპარატისტული რეგიონები, ჯერ დე ფაქტო და შემდგომ რუსეთის მიერ აღიარებული დამოუკიდებლობის სტატუსით უკვე თითქმის ორი ათეული წელია არსებობენ, ხოლო მანამდე საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური უფლებების მქონე სახელმწიფოებრივ სუბიექტებს წარმოადგენდნენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახით, ამგვარი სახელმწიფოსთვის უნიტარული წყობის პერსპექტივები მეტად მცირეა და მასზე აქცენტის გაკეთება ლოგიკაში არ ჯდება.**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს ფედერაციასა და კონფედერაციაზე მსჯელობა აქტუალური ხდება. ცნობილია, რომ ზოგიერთებს ქვეყნის მოღალატედ მიაჩნია საქართველოსთან მიმართებაში ამ ტერმინების გამომყენებელი და პირზე დუჟმორევითა და გულზე მჯიღების ცემით მზად არიან, მას ფიზიკურად გაუსწორდნენ. სამაგიეროდ, აფხაზეთი და შიდა ქართლი საქართველოს მხრიდან პოლიტიკური პასიურობით სრული დაკარგვისთვის რომ არის განწირული, ამას ვერ აცნობიერებენ, ან უფრო უარესი, ამგვარი პოზიცია საქართველოს ინტერესების ხარჯზე პოლიტიკური ქულების მოპოვებისთვის სჭირდებათ.

ამიტომ ასეთებისთვის ანგარიშის გაწევა, ან პირადი უსაფრთხოების მიზნით ამ თემაზე მსჯელობაზე უარის თქმა შეგნებული პატრიოტი ქართველისათვის მიმაჩნია სწორედ ქვეყნის ღალატად.

მაინც რა არის ფედერაცია და კონფედერაცია, რომლებზეც საქართველოსთან მიმართებაში მსჯელობა ლამის ტაბუდადებულად ითვლება? ფედერაცია ეს არის ისეთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა ან რეგიონების კავშირი, რომლის სუბიექტებს თვითმმართველობის მნიშვნელოვანი თავისუფლება გააჩნიათ ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროში, მაგრამ პოლიტიკურად შეზღუდულები არიან (მაგ: აშშ, მექსიკა, ინდოეთი თავიანთი შტატებით, გერმანია თავისი ლენდებით).

ფედერაციაში შემავალი სახელმწიფო სუბიექტების თვითმმართველობის სტატუსი, ჩვეულებრივ კონსტიტუციურადაა გაფორმებული და მისი შეცვლა ცენტრალური ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე შეუძლებელია. ფედერაცია დაყოფილია ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ავტონომიებად. ფედერაციის წევრებს არ გააჩნიათ სრული სუვერენიტეტი, მაგრამ სარგებლობენ დამოუკიდებლობით ადგილობრივი მმართველობის დონეზე. ფედერაციის სუბიექტებს შეიძლება ჰქონდეთ პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო და სხვა სახელმწიფო ორგანოები.

ახლა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს კონფედერაცია. კონფედერაცია არის საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ორი ან მეტი სახელმწიფოს კავშირი სუვერენიტეტის შეზღუდვის გარეშე. კონფედერაციას, დამფუძნებელი დებულების შესაბამისად, გადაეცემა უფლებამოსილებანი გარკვეულ სფეროებში. მასში შემავალი ქვეყნები საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად რჩებიან. კონფედერაცია თავადაც მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ მისი საერთაშორისო სამართალსუბიექტობა შეზღუდულია. იგი, როგორც წესი, მოწოდებულია გარკვეული საერთო ამოცანების რეალიზაციის მიზნით, რისთვისაც კონფედერაციაში შემავალი სახელმწიფოები ქმნიან საერთო ორგანოებს. კონფედერაცია სტრუქტურულად იგივეა, რაც ფედერაცია, მხოლოდ უფრო სუსტი ცენტრალური ხელისუფლებით. კონფედერაცია გარდამავალი, არამდგრადი სახელმწიფო ფორმაა და იგი, როგორც წესი, ან ფედერაციაში გადადის ან უბრალოდ იშლება.

კონფედერაციის მაგალითია შვეიცარია თავისი კანტონებით, რომლებიც ისტორიულად და იურიდიულად დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ითვლებიან და ხელშეკრულების საფუძველზე ქმნიან ერთიან სახელმწიფოს შვეიცარიის სახელწოდებით. საინტერესოა რომ შვეიცარიაში რამდენიმე სახელმწიფო ენა ფუნქციონირებს ენობრივი არეალების მიხედვით: გერმანული — ქალაქ ბაზელით, გერმანულ-ფრანგული, ანუ ორი სახელმწიფო ენაა კონკრეტულად ბერნი - ვალეს რეგიონში და ფრანგული ენობრივი არეალი, რომელსაც ჟენევა მიეკუთვნება, არის იტალიურიც.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა ბელგიის სამეფო ფედერალური სახელმწიფო სისტემით, რომელიც 3 სუბიექტისგან, რეგიონისგან შედგება: ბრიუსელის, ვალონიისა და ფლანდრიის. ენებია — ფრანგული, (მოსახლეობის 40%, ვალონური დიალექტი) და ნიდერლანდური (მოსახლეობის 60%, ფლამანდური დიალექტი). მოსახლეობის 11% ორენოვანია.

აღნიშნული სახელმწიფოები იმით იპყრობს ყურადღებას, რომ ისინი სხვადასხვა ეთნოსისა და ენის მქონე სახელმწიფოებრივი წარმონაქნებისგან შედგება, მაგრამ სახელმწიფოს ერთიანობას ამით საფრთხე არ ექმნება, რადგან ამაში უფრო მეტ სარგებელს ნახულობენ, ვიდრე სეპარატისტული განწყობებით ერთიანი სახელმწიფოს დაშლაში.

ესპანეთი იყოფა 17 ავტონომიურ რეგიონად და აქედან კატალონიასა და ბასკეთში ძლიერია სეპარატისტული ძალები. კატალონიის პარლამენტის შემადგენლობის 65% მოითხოვს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას, რომელიც დაგეგმილია 2014 წლის 9 ნოემბერს, თუმცა, რეფერენდუმის ჩატარებაზე ესპანეთის ცენტრალური მთავრობის თანხმობაა საჭირო და გამოკითხვების მიხედვით არც კატალონიელთა უდიდესი უმრავლესობაა დამოუკიდებლობის მომხრე, მხოლოდ 54 პროცენტი.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო არის ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სახელმწიფოებრივი გაერთიანება. აქედან ამჟამად შოტლანდია ილტვის დამოუკიდებლობისათვის. მით უმეტეს, რომ ამისათვის სერიოზული ეკონომიკური მიზეზი არსებობს. ბრიტანული ნავთობის უდიდესი ნაწილი შოტლანდიაში მოიპოვება, ხოლო კაპიტალი ლონდონში მიედინება. შოტლანდიაში დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმი სექტემბერში გაიმართება, თუმცა, შოტლანდიელთა ნახევარზე მეტი დამოუკიდებლობის მომხრე არ არის.

ყირიმის შემდეგ ვენეციაშიც ჩატარდა რეფერენდუმი. დამოუკიდებელ ვენეციას, უფრო სწორად ვენეტოს რეგიონს, ჩრდილოეთ იტალიის მოსახლეობის 64%-მა დაუჭირა მხარი. ვენეტოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ხელმძღვანელი ჯანლუიჯი ბუზატო აღნიშნავს, რომ XVIII საუკუნის ბოლომდე ვენეციის რესპუბლიკა დამოუკიდებლად არსებობდა, ხოლო 1866 წელს პლებისციტის შედეგად მისი იტალიასთან მიერთება „დანაშაული“ იყო.

ყოველივე ზემოთქმულით მტკიცდება რომ სეპარატიზმი ევროკავშირის სივრცეშიც საკმაოდ მტკივნეული პრობლემაა და მის სიმწვავეს დიდად არ ამცირებს არც ეკონომიკის სტაბილურობა, არც დემოკრატიის ფასეულობების მქონე ქვეყნებში ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცულობა და არც მტრული მეზობელი სახელმწიფოებისაგან სეპარატიზმისკენ წაქეზება და მხარდაჭერა.

სეპარატიზმის მომძლავრების მიზეზები უნდა ვეძებოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის უპირატესობის მინიჭებაში, რასაც 2008 წლის მარტში დასავლეთის მიერ სუვერენული სერბეთის მიწაზე ევროპაში მეორე ალბანური სახელმწიფოს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მისცა დასაბამი, რომლის პრეცედენტმა საქართველოს სახელმწიფოს დაშლაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა.

> **სეპარატიზმის მომძლავრების მიზეზები უნდა ვეძებოთ ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის უპირატესობის მინიჭებაში, რასაც 2008 წლის მარტში დასავლეთის მიერ სუვერენული სერბეთის მიწაზე ევროპაში მეორე ალბანური სახელმწიფოს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მისცა დასაბამი, რომლის პრეცედენტმა საქართველოს სახელმწიფოს დაშლაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა.**

ჩვენი ამოცანა უნდა გახდეს სეპარატიზმის გამო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიზეზების კვლევითა და ანალიზით ისეთი გამოსავლის მოძებნა, რომელიც ამ მტკივნეული პრობლემის გადაჭრის საფუძველი გახდება.

აუცილებელია საქართველოში სეპარატიზმის სპეციფიკური ნიუანსების გამოკვლევა და შემდგომში მათი აღმოფხვრა-განეიტრალებისათვის მთელი დიპლომატიური ძალისხმევის წარმართვა. მხედველობაში მაქვს ორი მთავარი ნიუანსი: **1. სეპარატისტული რეგიონებიდან ქართული მოსახლეობის თითქმის სრული განდევნა, რასაც იურიდიულად ეთნოწმენდასაც უწოდებენ. 2. სეპარატიზმის გამარჯვებაში რუსეთის ფაქტორი.**

აქედან გამომდინარე, ქართული დიპლომატიის მთავარი ამოცანები უნდა იყოს: პირველი ნიუანსის გამოსწორება, ანუ ლტოლვილების მასობრივი დაბრუნების განხორციელება სეპარატისტულ რეგიონებში და მეორის, ანუ რუსეთის ჩვენს წინააღმდეგ მოქმედი ფაქტორის განეიტრალება და უფრო მეტიც, ჩვენი ამოცანის განხორცილებაში მისი მხარდაჭერის მოპოვება.

ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნების უზრუნველყოფის შემთხვევაში, თუ გავითვალისწინებთ მათ რაოდენობას, მაშინ ლტოლვილების პოლიტიკურ-სამოქალაქო უფლებების დაცვის მექანიზმების ამუშავების პარალელურად სეპარატისტულ რეგიონებში საქართველოს პოლიტიკური ინტერესების დაცვის სამართლებრივი შესაძლებლობებიც ეკვივალენტურად გაიზრდება.

ცნობილია, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2012 წლის თებერვლის ბოლოს აფხაზეთის მოსახლეობის აღწერა ჩაატარა. მოსახლეობის საერთო რაოდენობამ შეადგინა 242 826 ადამიანი. 2003 წელთან შედარებით, მოსახლეობა 28 810 ადამიანით ანუ 13,5 პროცენტით არის გაზრდილი. გალში ქართული მოსახლეობის რაოდენობა 30 ათასი აღრიცხეს.

კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რომ აფხაზები შეეცდებიან, რეალური დემოგრაფიული სურათი დამალონ: „აფხაზებს კარგად ესმით, რომ ძალიან მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა აქვთ. თუ რამე პრობლემა აქვთ აფხაზეთში, აქედან ნომერ პირველი პრობლემა მათთვის არის დემოგრაფიული საკითხი. კარგად იციან, რომ ისე არ მრავლდებიან როგორც სჭირდებათ და აფხაზეთში რეალურად უმცირესობაში იმყოფებიან. არც აფხაზური ენა, არც რუსული ან ქართული ფაქტორი, იმდენად არ არის მათთვის გამოწვევა, როგორც დემოგრაფიული საკითხი. ჩემი მონაცემებით, აფხაზეთში რეალურად 180 ათასიდან 200 ათასამდე ადამიანი ცხოვრობს. ყველაზე მეტი აფხაზები არიან — ალბათ, 65 ათასი, 55 ათასამდე არის ქართველი და 45 ათასიდან 50 ათასამდე იქნება სომეხი, სადღაც 16 ათასამდე იქნება რუსი.

1990 წელს აფხაზეთში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის 240 ათასი ქართველი, 94 ათასი — აფხაზი, 75 ათასი რუსი, 76 ათასი - სომეხი და 15 ათასი ბერძენი. რუსულ-ქართულ-აფხაზური ომების შემდეგ აფხაზეთიდან ქართველობის დიდი ნაწილი გამოდევნეს.

ამ სტატისტიკიდან კარგად ჩანს, თუ როგორ ცდილობს აფხაზური სეპარატიზმი, რომ როგორმე შეამციროს აფხაზეთში ეთნიკური ქართველების რაოდენობა, რადგან მოსახლეობის რაოდენობაში მათი დიდი წილი აფხაზური სეპარატიზმის პოლიტიკურ ამბიციებს დიდ დარტყმას აყენებს. ამ ორიოდე თვის წინათ სოხუმში პრეზიდენტ ანქვაბის გადაყენების საბაბად სწორედ გალის რაიონში ქართველების მიმართ ლოიალური დამოკიდებულება დასახელდა და ახლა მათთვის მოქალაქეობის ჩამორთმევაზეც მიდის საუბარი. თავისთავად აქ საქართველოს ევროასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის გამო რუსეთის რეაგირებაც ვლინდება, რაც სეპარატისტ აფხაზების ინტერესებთან თანხვედრაში აღმოჩნდა.

ახლა წარმოვიდგინოთ, სწორი დიპლომატიური პოლიტიკის შედეგად თუ განხორციელდება აფხაზეთიდან ლტოლვილი 240 ათასზე მეტი ქართველიდან, რომელთაგან 50 ათასი ძირითადად გალის რაიონში უკვე დაბრუნდა, მინიმუმი კიდევ 100 ათასი ლტოლვილი ქართველის დაბრუნება, ეს ნიშნავს რომ აფხაზეთში ამჟამინდელი 250 ათასი მცხოვრებიდან 150 ათასი ქართველი იქნება, ანუ მოსახლეობის 60%, რაც სრულიად შეცვლის არა მარტო დემოგრაფიულ მდგომარეობას, არამედ საქართველოს სასიკეთოდ პოლიტიკურ პროცესებზე უდიდეს გავლენას მოახდენს.

ამ საქმეში კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ იმ მეორე ნიუანსის - სეპარატიზმის გამარჯვებაში რუსეთის ფაქტორის განეიტრალებასა და მისი ჩვენს მხარდამჭერად ქცევას. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გალის რაიონში ქართველების დაბრუნება ისევ რუსეთის ნებით მოხდა, რაც ერთ-ერთ ინტერვიუში პუტინმაც აღნიშნა, რითაც კიდევ უფრო მყარდება ის პოზიცია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში და განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში რუსეთის ფაქტორი მისი ძირეული ინტერესებიდან გამომდინარე, ძალიან ძლიერია.

პირდაპირ რომ ვთქვათ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოლაპარაკების პროცესში ლტოლვილების უსაფრთხოდ და ცხოვრების პირობების უზრუნველყოფით დაბრუნება უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს პირველი რიგის ამოცანა, რომელთანაც პირდაპირ არის დაკავშირებული საქართველოს ლეგიტიმაციის აღდგენა სეპარატისტულ რეგიონებში.

**გია თვალავაძე,**

**(დასასრული იქნება)**

# ნოსტალგიასა და „სხვა დემონებზე“

**მას შემდეგ, რაც კედელთან დასახვრეტად მდგარ აურელიანო ბუენდიასთან ერთად, კაცობრიობამ ის დღე გაიხსენა, როდესაც პირველად ყინულს შეახო ხელი; მას შემდეგ, რაც იმ დილით, როდესაც სანტიაგო ნასარი უნდა მოკლან, დილის ექვს საათზე ეპისკოპოსის დასახვედრად გავიღვიძეთ; მას შემდეგ, რაც პოლკოვნიკს არავინ სწერს; მას შემდეგ, სანტა სოფია და ლე პიედადმა შვილს მოცემული პირობა შეუსრულა და თავი სამზარეულოს დანით მოჰკვეთა; მას შემდეგ, რაც აურელიანო ბუენდია პილარ ტერნერას დილაბინდში საძინებელში გამოეცხადა და თავისი პირველი ბრძანება გასცა: შემიყვარე!**

წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ – „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ მარკესის მიერ, საკუთარი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ დაწერილი წიგნია. რომანში მწერალი ცხოვრებისა და სიტყვის ალქიმიაზე მოგვითხრობს. გვიყვება იმ რეალურ ადამიანებზე, ეპოქასა და ქვეყანაზე, რომლებმაც ისევე შექმნეს მარკესის მხატვრული სამყარო, როგორც მელკიადესის პერგამენტებმა ბუენდიების ოჯახის ბედისწერა.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ განსხვავებულ პერსპექტივაში დაგვანახვებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის დიდი მწერლის შემოქმედებითი სამყაროს თავისებურებებს. ამ წიგნის სიღრმისეული გააზრებისთვის კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენ იმ მწერალზე ვსაუბრობთ, რომლის სახელიც ერთმნიშვნელოვნად დაუკავშირდა ლიტერატურათმცოდნეობის ყველაზე კონტრავერსულ ტერმინს – „მაგიური რელიზმი“. „ჩემი მშობლები კარგი მთხრობელები იყვნენ და ხშირად მიამბობდნენ თავისი სიყვარულის შესახებ, – წერდა მარკესი, – მაგრამ, როდესაც წლების შემდეგ, მათი სიყვარულის შესახებ რომანის დაწერა დავიწყე, რეალობასა და წარმოდგენას შორის ზღვარი დაკარგული მქონდა“. ალბათ, ამ სიტყვებში ყველაზე მკაფიოდ ჩანს ის ძნელად მოსახელთებელი მიჯნა, რომელიც მის შემოქმედებაში სინამდვილესა და მაგიას შორის არსებობს. „მწერალი ერთადერთია, ვისაც შეუძლია მკითხველი სასწაულებში დაარწმუნოს“. – ესეც გაბრიელ გარსია მარკესის ფრაზაა, მაგრამ პარადოქსული ის არის, რომ მარკესის მკითხველისათვის ყველაზე წარმოუდგენელი, შესაძლოა, „სასწაულები“ კი არა, სწორედ ის იყოს, თუ რამდენადაა მისი წიგნები რეალობით გაჯერებული.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ – ეს არის ნოსტალგიური მოგზაურობა საკუთარ ცხოვრებაში, ეპოქის ისტორიულ რეალიებში და იმ კულტურულ სივრცეში, რომელთანაც მწერალი სრულად აიგივებდა საკუთარ თავს. ავტორები, რომლებმაც რომანის წერისკენ უბიძგეს, ჩრდილოამერიკელი მწერლები იყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ღრმა სამხრეთის კულტურა და კარიბული ხასიათი შთააგონებდა, რომლის არსიც შეუფასებელია მისი, როგორც ადამიანისა და მწერლის ჩამოყალიბებაში. „მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობდი, სადაც ყველაზე დაუჯერებელი ამბები სრულიად ბუნებრივი რამ იყო“, – წერს ერთგან გაბრიელ გარსია მარკესი.

ამ წიგნის შექმნის იდეა ჯერ კიდევ მაშინ გაუჩნდა, როდესაც დედასთან ერთად ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაპაპისეული სახლის გასაყიდად არაკატაკაში ბრუნდებოდა.

ნოსტალგიური მოგზაურობით შთაგონებული დედას ნავსადგურზე დაემშვიდობება და რედაქციაში დაბრუნებისთანავე ახალი რომანის წერას იმ სიტყვებით დაიწყებს, რომლითაც დედამ მიმართა:

– დახმარების სათხოვნელად მოვედი, მინდა, რომ სახლის გასაყიდად გამომყვე.

თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ დაუსვამს ამ წიგნს ბოლო წერტილს: „ორმოცდაათ წელზე მეტი დამჭირდა იმისთვის, რომ მივმხვდარიყავი – დიდი წიგნები მაშინ კი არ იწერება, როცა ჩვენ გვინდა, არამედ მაშინ, როდესაც თავად მოისურვებენ“.

მარკესზე ბევრი რამ დაწერილა და მომავალშიც დაიწერება, მაგრამ მთავარი კითხვა უცვლელია: საიდან მოდის მისი უზღვავი ფანტაზია? „მარტოობის ას წელზე“ უთქვამს, რომ ისეთი წიგნი მინდოდა დამეწერა, სადაც ყველაფერი ხდებაო. ვკითხულობთ და გვეჩვენება, რომ მხოლოდ ზებუნებრივი შთაგონების ძალით შეიძლებოდა დაწერილიყო ასეთი ნაწარმოები. ცხადია, ვცდებით. თუ როგორი არადამიანური, რუტინული შრომით იწერებოდა მისი წიგნები, ამის შესახებ „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ გვიამბობს. „პროფესიული სრულყოფილების მონა ვარო“, – ამბობდა მარკესი და ეს აიძულებდა, წინასწარ განესაზღვრა წიგნის ზომა, გვერდების ზუსტი რაოდენობა ყოველ თავში და მთლიანად წიგნის მოცულობა. ამ ანგარიშის მცირე ცდომილებაც კი სტრუქტურული ცვლილებისკენ უბიძგებდა. მცირე მექანიკურ შეცდომას, როგორც შემოქმედებით კრახს, ისე განიცდიდა.

მწერლის პროფესიული ჩვევებისა და „საყვარელი დემონების“ (მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ) შესახებ ამ რომანში კიდევ ბევრ უცნობ ფაქტს გავეცნობით. როდესაც „ფოთოლცვენას“ წერდა, დიდხანს ვერ გადაწყვიტა რომანის სახელწოდება. რვეულში ინიშნავდა ყველა შესაძლო ვარიანტს. ოთხმოცზე მეტი სათაური დამიგროვდა და ბოლოს, როდესაც პროლოგის დაწერის სურვილი გადავლახე, სახეში ისევ პირველი ვერსია შემომეფეთაო, – იხსენებს.

ამ წიგნის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, გაბრიელ გარსია მარკესის მკითხველისათვის შედარებით უცნობი მხარე – მისი ჟურნალისტური მოღვაწეობაა. ამ პროფესიის მიმართ მთელი ცხოვრება ნამდვილი ვნებით იყო შეპყრობილი. რეპორტაჟი „მსოფლიოში საუკეთესო პროფესიის უმაღლეს ჟანრად“ მიმაჩნიაო, წერდა. სწორედ რეპორტაჟს უწოდებს თავის ერთ-ერთ საუკეთესო მოთხრობას „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკას“, რომელსაც საფუძვლად რეალური ისტორია დაედო. ისტორია, რომლის დაწერის სურვილიც ოცდაათი წელი სტანჯავდა და მხოლოდ მაშინ გაბედა, როდესაც დედამისმა ლუიზა მარკესმა ამ ტრაგედიის შესახებ დაწერის ნება დართო. თუმცა, არასოდეს წაუკითხავს მოთხრობა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილ შედევრად იქცა. არ წაუკითხავს დედის იმ სიტყვების გამო, მთელი ცხოვრება რომ გულში უძვირფასესი სამკაულივით ატარა: „ის, რაც ცხოვრებაში ასე ცუდად დამთავრდა, არ შეიძლება წიგნში კარგად გამოვიდეს“. არადა, „მე, თავისთავად დანაშაული კი არა, დანაშაულზე კოლექტიური პასუხისმგებლობის ლიტერატურული თემა მაინტერესებდა“, – დაწერს მოგვიანებით მარკესი.




> „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ – ეს არის ნოსტალგიური მოგზაურობა საკუთარ ცხოვრებაში, ეპოქის ისტორიულ რეალიებში და იმ კულტურულ სივრცეში, რომელთანაც მწერალი სრულად აიგივებდა საკუთარ თავს. ავტორები, რომლებმაც რომანის წერისკენ უბიძგეს, ჩრდილოამერიკელი მწერლები იყვნენ, მაგრამ ყველაზე მეტად ღრმა სამხრეთის კულტურა და კარიბული ხასიათი შთააგონებდა, რომლის არსიც შეუფასებელია მისი, როგორც ადამიანისა და მწერლის ჩამოყალიბებაში. „მე იმ ქვეყანაში ვცხოვრობდი, სადაც ყველაზე დაუჯერებელი ამბები სრულიად ბუნებრივი რამ იყო“, – წერს ერთგან გაბრიელ გარსია მარკესი.

ცხადია, რომ ამ მოთხრობის ეთიკური ღერძი „მსხვერპლისა და ჯალათის“ ურთიერთობაზე კი არა, სწორედ დანაშაულის გარშემო მყოფი ადამიანების შინაგან პასუხისმგებლობაზე გადის. გავიხსენოთ სანტიაგოს დედა, რომელმაც სასიკვდილოდ განწირულ შვილს კარი ჩაურაზა; მლესავი, რომელმაც დანა უხალისოდ ალესა; ძმები, რომლებიც საკუთარი სურვილის წინააღმდეგ იძულებულები არიან საზოგადოებრივი „დაკვეთა“ შეასრულონ და დის ღირსების დასაცავად სანტიაგო ნასარი მოკლან; და, რომელმაც მთელი დარჩენილი სიცოცხლე უნდა ატაროს მარტოობისა და სინანულის ტვირთი... ყველა მსხვერპლია. ეს დიდი წიგნი კი კიდევ ერთხელ გვაფიქრებს ცნობიერად თუ არაცნობიერად დანაშაულის რეალობაში ჩვენი პერსონალური თანამონაწილეობის შესახებ.

...დედის გავლენისა და ხასიათის შესახებ მწერალი ღრმა შინაგანი აღტაცებით მოგვითხრობს. ხანგრძლივი განშორებების მიუხედავად, მათი ემოციური კავშირი არასოდეს გაწყვეტილა. „მას შემდეგ, რაც მატერიალური საშუალება გამიჩნდა, ყოველ კვირას, ერთსა და იმავე დროს, მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან ვურეკავ... არა იმის გამო, რომ, როგორც ამბობენ, კარგი შვილი ვარ, არამედ იმიტომ, რომ ეს საკვირაო ზარები ყოველთვის ჩვენი ურთიერთობის სერიოზულობის ნაწილად მიმაჩნდა“. დედა სიცოცხლის ბოლომდე მარკესის შთაგონების წყარო და მისი ერთგული მკითხველი იყო. თავისი ძლიერი და რომანტიკული ხასიათით არა მხოლოდ განსაზღვრა მწერლის პიროვნული თვითშემეცნების გზა, არამედ სამუდამოდ დაასვა დაღი მის დაუვიწყარ პერსონაჟ ქალებს. მაგრამ, დედის გარდა, არის კიდევ ერთი ქალი, რომლის ხატიც უთბილეს მოგონებად მიჰყვება მის ცხოვრებას. ქალი, რომელმაც „გულმოდგინედ მწყემსა“ მისი ბავშვობა. ბებია ტრანკილინა – ადამიანი, რომელიც მწერლისთვის ყოველთვის იყო იმ ფაქიზი, უხილავი ყოფის ზღვარზე, რეალურსა და მაგიურს შორის რომ ფეთქავს. ცხადია, რომ „მარტოობის ას წელში“ წლის მატრიარქის – ურსულას სახეში სრული მხატვრული ტრანსფორმაცია განიცადა დედისა და ბებიის სახემ. ურსულაში კონცეპტუალურად განსხეულდა მარკესის იდეალური ქალის პარადიგმა. „ურსულას დედაჩემის ნაკვთები აქვს, მაგრამ იმ ქალების შტრიხებსაც ატარებს, რომლებიც ცხოვრების გზაზე შემხვედრია“.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ იმ რეალურ ადამიანებზე მოგვითხრობს, რომლებიც მარკესის წიგნებში მხატვრულ პერსონაჟებად დაბინავდნენ. და მაინც, როგორები არიან მარკესის ქალები? როგორია მათი ზოგადი პროფილი? მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც შესაძლებელია საერთო კონტურების მონიშვნა. მარკესის ძლიერ და მომხიბვლელ ქალებს ღრმა შინაგანი ინტუიცია და ეთიკური მგრძნობელობა აერთიანებთ. სწორედ ის თვისებები, რომლებიც შესაძლოა, გაბრიელ გარსია მარკესის პიროვნული მსოფლაღქმის მთავარ ქვაკუთხედად მივიჩნიოთ.

ბუნებრივია, ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ იმ პიროვნებას, რომელიც მისი საუკეთესო მოთხრობის შთაგონებად იქცა – პოლკოვნიკი ნიკოლას მარკესი. მას შემდეგ, რაც კოლუმბიის ხელისუფლებამ ვეტერანებისთვის პენსიის დანიშვნის შესახებ გამოაცხადა, „ფოსტის ყოველ მოსვლას ისე ველოდით, როგორც უფლის გამოცხადებასო“, – გულისტკივილით იხსენებს მწერალი. ამ მარტოობის, გულგრილობის და იმედგაცრუების დაუნდობელ ტკივილზე გვიამბობს „პოლკოვნიკს არავინ სწერს“. ნიკოლას მარკესის საყვარელი გატაცება კი ძვირფასი ქვებით მოჭედილი ოქროს თევზები – სამუდამოდ დარჩა მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილი სამკაულის – ბუენდიების ოჯახის საიდენტიფიკაციო ნიშნად.

„იცხოვრო, რომ მოჰყვე“ დაწვრილებით გვიამბობს, მწერლობასა და ჟურნალისტიკაში გაბრიელ გარსია მარკესის პირველი ნაბიჯების შესახებ. თავისი მოთხრობის პირველ პუბლიკაციას სრულიად შემთხვევით, კაფეში წააწყდა. „პირველი განცდა, რომელიც დამეუფლა, ის იყო, გაზეთის საყიდელი ხუთი სენტავო არ მქონდაო“, – იხსენებს. არადა, ხუთი სენტავო ყველაზე მკაფიო გამოხატულება იყო სიღატაკისა, რადგან კოლუმბიაში მაშინ ხუთი სენტავო ყველაზე ელემენტარული საგნები ღირდა: ყავა, პური, გაზეთი... სასოწარკვეთილი მწერალი ქუჩაში გავარდება და დაინახავს, რომ ტაქსიდან უცნობი, დარბაისელი მამაკაცი გადმოვა, რომელსაც ხელში გაზეთი უჭირავს. „მივედი და პირდაპირ ვთხოვე, რომ ეჩუქებინა“. აჩუქეს!

როდესაც თავის პირველ პუბლიკაციებზე საუბრობს, მარკესს სხვა საგულისხმო დეტალიც არ რჩება ყურადღების მიღმა. ტექნიკური გაუმართაობის გარდა, ამ მოთხრობების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ადამიანის „გულის უცნაურობებს“ არ ვიცნობდიო. ყველაზე ხშირი კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს მარკესის კითხვის დროს ვუსვამთ, მარტივია: სად არის მწერალი? როგორია მისი მორალური პოზიცია? ვის უმაგრებს ზურგს? ვინ არის მართალი? ამ კითხვის პასუხი, ალბათ, არ არსებობს, რადგან გაბრიელ გარსია მარკესის მორალური პოზიცია, ზოგადად, ადამიანია. ადამიანი – თავისი გულის უცნაურობით, იდუმალი ვნებებითა და სურვილებით. ადამიანი, რომელშიც ბოლომდე გაერთიანდა მაგიურისა და რეალურის მთელი მშვენიერება.

და ბოლოს, მარკესის ქართული თარგმანების შესახებ:

ელზა ახვლედიანის „მარტოობის ასი წელი“ – მარკესის თარგმანების ნამდვილი მშვენება, კიდევ მრავალ თაობას გაუღებს იმ კარს, რომელსაც მაკონდოს ჯადოსნური სამყაროსკენ მივყავართ. არაერთი შესანიშნავი თარგმანი ეკუთვნის თეა გვასალიას. მარკესის წიგნების მისეული თარგმანები ახლახან გამოსცა „ინტელექტმა“.

რაც შეეხება კოლუმბიელი მწერლის ავტობიოგრაფიულ რომანს – ინტერესი წიგნის მიმართ დღითი დღე იზრდებოდა, რადგან „იცხოვრო, რომ მოჰყვე“ დიდი მწერლის შემოქმედების გზამკვლევია, უფრო მეტიც, სავალდებულო საკითხავი კაცობრიობის იმ მშვენიერი ნაწილისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ სჯერა, რომ „დიდი წიგნები მხოლოდ ქაღალდზე არ იწერება, დიდ წიგნებს ცხოვრება წერს და ყოველთვის მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებად ველოდებით“.

**ლანა კალანდია**

**წიგნის წარდგინება გაიმართება 10 სექტემბერს, ოთხშაბათს, საქართველოს მწერალთა სახლში, 19 სთ.**

№174-176. სამშაბათი, 2 სექტემბერი, 2014 წელი.

# სიცილ-თერაპევტები

ექიმებმა არაერთგზის განაცხადეს და დაადასტურეს: სიცილი სიცოცხლეს ახანგრძლივებს. აი რატომაა, რომ კომიკოსები, რომლებიც, თითქოსდა, გულგრილად გვაცინებენ კინოში, უბრალოდ არტისტები როდი არიან. ისინი არიან სიცილთერაპევტები, რომლებიც გვჩუქნიან მეტ ჯანმრთელობას, ვიდრე ზოგიერთი ექიმი! შევეცადეთ, გაგვეხსენებინა ყველაზე აშკარა, მსოფლიო დონის „იუმორისტული არტისტები“.



**ლუი დე ფიუნესი.**

სსრ კავშირში „დიდი გასეირნება“ მისი მონაწილეობით კინოში ნახა 38 მილიონმა მაყურებელმა! პირველი მთავარი როლი ლუიმ... 48 წლისამ მიიღო! თუმცა, ამაზე არასოდეს ნაღვლობდა, ამბობდა ფილოსოფიურად: „დაყოვნებული კარიერა და პატარა როლები დამეხმარნენ გამომეკვეთა ჩემი კომიკური ოსტატობა, ძალიან ვცდილობდი მოსწონებოდათ ჩემი ნაკლებად მნიშვნელოვანი პერსონაჟები — ასეც შევიძინე გამოცდილება.



**ჯიმ კერი.**

კომიკოსი ყველაზე მოციმციმე სახით და ყველაზე დიდი ჰონორარებით. სიჭაბუკეში ცხოვრებამ ხელი შეუშალა: მამა გაკოტრდა, დედა გიჟად მიაჩნდათ, ოჯახი ფურგონში ცხოვრობდა, ჰოლივუდის მომავალი ვარსკვლავი უნიტაზებს ასუფთავებდა. კერი სკოლას ხშირად წყდებოდა: აკეთებდა გრიმასებს და თამაშობდა პაროდიებს... ბრეჟნევზე. დებიუტი ჩავარდა. ჯიმი ორი წლის განმავლობაში ებრძოდა თავის თავს. მაგრამ გაუარა!



**ევგენი ლეონოვი.**

თამაშობდა არა მხოლოდ კომიკურ როლებს, არამედ მისი სახე ყოველთვის ღიმილს იწვევდა. იყო ხარატი, დაამთავრა ავიატექნიკუმი, მაგრამ შევიდა თეატრალურ კურსებზე — აქეთ გაიტაცა ბუნებამ! „ზოლიანი რეისის“ შემდეგ ლეონოვი შეუყვარდა მთელ ქვეყანას. გადაღების დროს გრიმს არ იკეთებდა — თამაშობდა თავისი სახით. კლინიკური სიკვდილის შემდეგ (უგონოდ იყო 16 დღე-ღამის განმავლობაში) კიდევ ექვსი წლის განმავლობაში თამაშობდა!



**გიორგი ვიცინი.**

კინოში სადებიუტო როლი 1951 წელს შეასრულა — ითამაშა გოგოლის როლი ფილმში „ბელინსკი“, შემდეგ კი იყო კომიკური გმირები. „საყოველთაო რუსული მხიარული ლოთბაზარა“ არ სვამდა, არ ეწეოდა და იყო მორცხვი. ერთადერთხელ ცხოვრებაში იგი აიძულეს დაელია ლუდი „კავკასიელ ტყვე ქალში“ — „ასკილის ნახარშით და მთვრალის როლი ითამაშა არადამაჯერებლად...



**მისტერ ბინი.**

სტატისტიკის მიხედვით, ინგლისელების 70 პროცენტს დასვენების დროს „მისტერ ბინებს“ უწოდებენ. როუენ ანტკინსონი სწავლობდა საინჟინრო სპეციალობაზე, მაგრამ გაიგო, რომ მას უფრო მეტად მოსწონს — სახის მანჭვა კადრში, და არა ცხოვრებაში. იგი ხშირად ჩივის: „რატომ ფიქრობს ხალხი, რომ მე უნდა ვაცინო ისინი კადრს მიღმა? მე მოსაწყენი ადამიანი ვარ!, ცოლად გრიმიორი მყავს, ვეწევი მანქანების კოლექციონერობას. რა შეიძლება იყოს უფრო მოსაწყენი?“



**პიერ რიშარი.**

ვარიეტეში რომ გამოსულიყო, კავშირი გაწყვიტა მდიდარ ნათესავ-არისტოკრატებთან. ვერაფრით შეძლო წარმატების მიღწევა კინოში, სანამ არ დაწერა საკუთარი სცენარი ფილმისათვის „დაბნეული ადამიანი“ და არ განსაზღვრა თავისთვის მთავარი როლი — ეს იყო, როდესაც მას 33 წელი შეუსრულდა! შემდეგ გაუმართლა: ფილმმა „მაღალი ქერა, შავყელიან ფეხსაცმელში“. მთელი მსოფლიო დაიპყრო. ოთხჯერ დაქორწინდა, ცხოვრობს ბარჟაზე.



**საველი კრამაროვი.**

მას შემდეგ, რაც იგი არ მიიღეს თეატრალურ სასწავლებელში, შევიდა სატყეო ტექნიკურ ტექნიკუმში. ცოტა ხანი იმუშავა სპეციალობით, მაგრამ შემდეგ მოხვდა ფილმში „მოუხელთებლები“ ფრაზით „გზის გასწვრივ მკვდრები დგანან და სიწყნარეა...“ რამაც მას სახელი გაუთქვა მთელ საბჭოთა კავშირში. იყო მეტად პედანტური ადამიანი. როგორც ებრაელი, უარს აბობდა გადაღებებზე შაბათობით.



**სერგეი სვეტლაკოვი.**

ეს კომიკოსი „მკაცრი დულინის ამპლუაში“ შეიცნობა ერთი ფრაზით: „რაო, მიხალიჩ?“ მის გვერდითაა — ვოლიაც, გალუსტიანიც, კომედიის ნაცნობი თაობა, მაგრამ სვეტლაკოვი ირგვლივ მაინც ყველაზე მეტია. სპორტის ოსტატი ფრენბურთში, აქვს დიპლომი სპეციალობაში „კომერსანტი“. მისი საყვარელი ხუმრობაა: „მდიდარ გლეხს ორი ჭა აქვს: ცივი და ცხელი წყლით“.



**ფაინა რანევსკაია.**

ფორმალურად, რასაკვირველია, რანევსკაია — მთლად კინოკომიკოსი არაა. მისი როლები — ესაა ეპიზოდები. მაგრამ როგორი სასაცილოა ეს ეპიზოდები! აქ დაუმატეთ მისი აფორიზმები და გასაგები გახდება, რომ რანევსკაიას გარეშე ვერსად წახვალ. „ოპტიმიზმი — ესაა ინფორმაციის უკმარისობა“, „როდესაც თავმოტვლეპილი დავინახე ჯავშნოსანზე, გავიგე, წინ უსიამოვნებანი გველოდება“.



**ჩარლი ჩაპლინი.**

დებიუტი შეასრულა ხუთი წლისამ სცენაზე, დაიმსახურა ოვაციები, როდესაც ნომრის შესრულების დროს დაიწყო მისთვის გადაყრილი ფულის შეგროვება... დედის ავადმყოფობის გამო ობლების სახლში მოხვდა. პირველი როლი მიიღო 14 წლისამ, რამაც იგი ვერ იხსნა, ვინაიდან არ იცოდა კითხვა... გაჭირვებაში გამოზრდილმა აიგო თავისი პირველი სახლი... ორმოცი ოთახით!

# დედამიწის ზურგზე

## ავსტრალიამ რუსეთის წინააღმდეგ ახალი სანქციები შემოიღო - თავდაცვით, საფინანსო და ნავთობგაზის დარგებში

ახალი ზომები ითვალისწინებენ აკრძალვას ექსპორტზე რუსეთში იარაღისა, მოწყობილობისა ნავთობისა და გაზის მოსაპოვებლად, აგრეთვე ზღუდავენ რუსეთის ბანკების შეღწევას ავსტრალიის კაპიტალის ბაზარზე. ამას გარდა, აკრძალვაში აღმოჩნდნენ ინვესტიციები ყირიმში და სავაჭრო ოპერაციები ნახევარკუნძულთან.

## 1 სექტემბერი უკრაინაში: პოროშენკოს შვილები დღესასწაულს კიევში ხვდებიან, დონბასში სასწავლო წლის დაწყება ერთი თვით გადაიდო

მეცადინეობის დაწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში გადატანილია საბრძოლო მოქმედებათა შეუწყვეტელობის გამო. თვითგამოცხადებულ დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში დანგრეულია ყოველი მეხუთე სკოლა. ბავშვების უმეტესობა გადაიყვანეს იქ, სადაც ომი არაა. დანარჩენები ისწავლიან დისტანციურად.






## მსოფლიო მეორე მსოფლიო ომის დაწყების 75 წლისთავს აღნიშნავს და გამოჰყავს ანალოგიები

თანამედროვე მსოფლიოს ყველაზე სისხლისმღვრელი სამხედრო კონფლიქტის სამი მეოთხედი საუკუნის შემდეგ ისტორიკოსები მაინც ვერ თანხმდებიან ვერც ომის დაწყების თარიღზე, ვერც მის მსხვერპლზე და ვერც დამნაშავეებზე. ახალი ბრძოლების აპოკალიფსური პროგნოზები აუცილებლად არ ახდება, მაგრამ იმასთან დაკავშირებით, რომ „ომის ვირუსმა კვლავ წამოყო თავისი მახინჯი თავი ევროპაში“, თითქმის არ დავობენ.

## შეერთებული შტატები ერაყში სამხედრო ოპერაციებზე დღეში 7,5 მილიონ დოლარს ხარჯავს

სამხედრო ოპერაციები ერაყში, მათ შორის, საჰაერო თავდასხმები და სამეთვალყურეო გაფრენები, შეერთებულ შტატებს ივნისის შუა პერიოდიდან დაახლოებით 560 მილიონი დოლარი დაუჯდა, განაცხადა პენტაგონის პრესმდივანმა კონტრადმირალმა ჯონ კირბიმ. მისი სიტყვებით, ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში ხარჯები გაცილებით ნაკლები იყო, მაგრამ ისინი გაიზარდნენ.



ქვირფასი სილუეტები

# ის კაცი იყო, ჰქონდა კაცის ყველა თვისება...

**ნახეთ ერთი, ფოტოსურათზე, რა გამეტებით „ახრჩობს“ კოტე მახარაძე ზურაბ (კუკური) ლაფერაძეს. ზედვე ეტყობა, ახალი ამდგარი რომ არიან სუფრიდან, რა თქმა უნდა, კუკურიმ ამჯერადაც ოსტატურად ითამადა და კოტე მახარაძე, არცთუ ისეთი მსმელი კაცი, სიყვარულით „ახრჩობს“, ანუ კიდევ ერთ გემრიელ „შებერვას“ ულოცავს თავის ძმასა და მეგობარს.**



— ერთი „მოწინააღმდეგე“ ჰყავდა, — ღიმილით მიამბობს ღირსეული მამის შესახებ ზურაბ ლაფერაძის ვაჟიშვილი — გია — კინომხატვარი, სამხატვრო აკადემია 1975 წელს რომ დაამთავრა და, თავისი ნიჭიერება არაერთ ქართულ კინოფილმში გამოავლინა. — ეს „მოწინააღმდეგე“ იყო გენიალური რევაზ ლაღიძე, რომელიც, რამდენადაც ვიცი, თვითონაც ძალიან ერიდებოდა სუფრაზე მამაჩემთან შეხვედრას, რადგან იცოდა, რომ ეს გარკვეულ შეჯიბრს გამოიწვევდა. თუმცა, მაინც ვერ ასცდნენ ისინი ურთიერთშეჯიბრს და დღემდე უკვე ლეგენდად დადის, ჩეხოსლოვაკიაში, „შეწყვეტილი სიმღერის“ გადაღებისას, როგორ „შეერკინნენ“ ერთმანეთს. რესტორნის მთელი მომსახურე პერსონალი, თურმე, გაოცებული შესცქეროდა ორ მამაკაცს, რომლებიც ღვინოს განსხვავებული, უზარმაზარი სასმისებით სვამდნენ, დაცლილ ბოთლებს იქვე აწყობდნენ, მიმტანებს არ ატანდნენ და ორივე მხარეს, ცალ-ცალკე, 15 ბოთლზე მეტი რომ შეუგროვდა, მაშინღა წამოდგნენ, ერთმანეთს ხელი გადახვიეს, გაოცებულ პრაღელებს დაემშვიდობნენ და ფეხიც კი არ შეშლიათ, ისე გადაიარეს რესტორნის დარბაზი. რომელმა გაიმარჯვეთო, რომ უკითხავთ, ეს მხოლოდ ჩვენ ვიცით, სხვას არ გავაგებინებთო... მოკლედ, ფრედ დამთავრებულა ის „შეხვედრა“, — იღიმება გია ლაფერაძე.

ცხადია, ქართული „გიჟმაჟობა“ ხანდახან უყვარდა, თორემ ზურაბ ლაფერაძისთვის მთავარი საქმე იყო აქტიორული ხელოვნება, რომელსაც იგი ყმაწვილკაცობიდან ეზიარა, მონაწილეობდა სხვადასხვა დრამატული წრეების წარმოდგენებში, მუშაობდა სანკულტურის თეატრში სტატისტად, სწავლობდა მარჯანიშვილის თეატრის სტუდიაში, ხოლო მისი ნიჭი და უნარი ერთიანად გამოვლინდა სოხუმის თეატრში მოღვაწეობისას, სადაც მსახიობმა მრავალი ერთმანეთისგან განსხვავებული სახეები შექმნა. მაგალითად, ოლეგ კოშევოი „ახალგაზრდა გვარდიაში“, ონისე — „ხევისბერ გოჩაში“, აიტუზა — „ხარატაანთ კერაში“ და ასე შემდეგ.

სოხუმიდან ზურაბ ლაფერაძე უბრუნდება მარჯანიშვილის თეატრს და, უფროსი თაობის თეატრის მოყვარულთ კარგად ემახსოვრებათ, რა ერთმანეთზე უკეთესი სახეები წარმოადგინა მან ამ სახელოვანი თეატრის სცენაზე. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ის კი უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი ადამიანური თვისებებიდან გამომდინარე, ზურაბ ლაფერაძე ქართულ სცენას შემორჩა, როგორც დადებითი გმირების როლების შემსრულებელი მსახიობი. სულმნათ გიგა ლორთქიფანიძეს უთქვამს ერთხელ, კუკურის უარყოფითი გმირი რომ ათამაშო, მაინც დადებითი გამოდის, იმდენად დადებითი პიროვნებააო.

ბედნიერებაა, კინოროლები ამა თუ იმ მსახიობისა, მაინც რომ გადაეცემა ხოლმე თაობიდან თაობას. ჰოდა, როდესაც საქართველოს რომელიმე ტელეარხზე, კარგა ხნის წინათ გადაღებულ ქართულ ფილმებს უჩვენებენ, ჩვენ — მოხუცი თუ ახალგაზრდა — სიამოვნებით შევცქერით ხოლმე, ზოგ მათგანში ზურაბ ლაფერაძის მიერ შესრულებულ როლებსაც. შეგახსენოთ? კი ბატონო: კინოდებიუტი და ერთ-ერთი მთავარი როლი ფილმში „ჩრდილი გზაზე“, ვარლამი — „ქალის ტვირთში“, გიორგი — „საბუდარელ ჭაბუკში“, მამედოვი — „შეწყვეტილ სიმღერაში“, ბეჟანა — „მე ვხედავ მზეში“, მიტროფანე — „მხიარულ რომანში“ და ასე შემდეგ...

— არ სურდა, რომ შვილებიც მსახიობები გამოსულიყნენ, — განაგრძობს გია ლაფერაძე, — შვილიშვილები, კი ბატონოო, იტყოდა ხოლმე. მართლაც, მე მხატვარი ვარ, ჩემი და მაკა ლაფერაძე კი თქვენი კოლეგაა — ჟურნალისტია. აი, ჩემი ქალიშვილი სალომე კი გაჰყვა ბაბუის კვალს, იგი მსახიობია მიწვევით და, მე მგონი, არ არცხვენს ბაბუის სახელს, ლაფერაძეების გვარს.

...**ახლახან** 88 წლისა გახდებოდა ზურაბ ლაფერაძე... ხომ ამბობს სულმნათი ირაკლი აბაშიძე პაოლო იაშვილზე — „ის კაცი იყო, ჰქონდა კაცის ყველა თვისება“... როგორც გამიგია, პოეტის ეს სიტყვები ზუსტად შეეფერებოდა ზურაბ ლაფერაძესაც.

ჰოდა, ჩვენც ვთქვით მისი არდავიწყებისა!

**ვილენ მარდალეიშვილი,**

**სურათებზე: კოტე მახარაძე „ახრჩობს“ ზურაბ ლაფერაძეს; კადრი ფილმიდან „ზვიგენის კბილი“, როლებში — გიორგი შავგულიძე და ზურაბ ლაფერაძე.**



განსჯა

# თამარ სანიკიძეს კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა...

**სკოლის დირექტორებად კვლავ „ნაცმოძრაობის“ ფავორიტი დირექტორები ბრუნდებიან?**

**სულ მალე საჯარო სკოლებს ახალი დირექტორები ეყოლებათ და არ არის გამორიცხული მათ რიცხვში წინა ხელისუფლების დროინდელი ის კადრები ვიხილოთ, რომელთა გამო არაერთი პედაგოგი პოლიტნიშნით გათავისუფლდა და რომლებიც სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილის ნაცვლად სააკაშვილის მიტინგებზე მიერეკებოდნენ და სკოლას პირადი თუ პარტიული მიზნებით იყენებდნენ.**

სწორედ ამიტომ, არა მხოლოდ დაზარალებული პედაგოგები, არამედ მოსწავლეთა მშობლები განათლების სამინისტროს მოუწოდებენ ასეთ დისკრედიტებულ დირექტორებს უფლება არ მისცენ ისევ სკოლის ხელმძღვანელები გახდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სასწავლო პროცესის ჩაშლით იმუქრებიან.

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, სკოლაში დაბრუნების ამბიცია არაერთ ძველ დისკრედიტებულ დირექტორს ჰქონია და დიდი შანსია მოახერხონ კიდეც — მათმა ნაწილმა სასერტიფიკაციო გამოცდა ჩააბარა და არ არის გამორიცხული სამეურვეო საბჭოს გადაბირება შეძლოს მათთვის ჩვეული „ძველი ხერხებით“.

საბედნიეროდ, განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სიებიდან ჩანს, რომ მათი რაოდენობა მინიმალურია, თუმცა, არიან ისეთები, რომლებისთვისაც სერტიფიცირება ბარიერი ვერ გახდება. სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით, კვლავ სკოლის დირექტორობას აპირებენ ე.წ. ელიტალური სკოლების ყოფილი დირექტორები. მაგალითად, პირველი კლასიკური გიმნაზიის ყოფილი დირექტორი ამირან ჯამაგიძე, პირველი ექსპერიმენტული სკოლის ყოფილი დირექტორი ზაზა გრიგალაშვილი, ცნობილ ტატო შავშიშვილთან დაახლოებული 53-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი **მარიამ რამინაშვილი** და სხვები...

ხაზგასასმელი ის არის, რომ აღნიშნული პირები თანამდებობიდან განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნის საფუძველზე დარღვევების გამო გათავისუფლდნენ. თუმცა, ეს ფაქტორი მათთვის ხელისშემშლელი სულაც არ ყოფილა და დღეს თავისუფლად მონაწილეობენ კონკურსში.

**„როგორც ცნობილია დირექტორობის სერტიფიკატი გაცემულია 2011 წელსაც, ხოლო ის, ვინც პროცესი 2012 წელს დაიწყო და გაიარა ტესტი, მომდევნო წელს დაასრულა და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. სერტიფიცირება ჩატარდა ასევე 2013 და 2014 წლებში. შესაბამისად, კანონი ყველა მათგანს კონკურსში მონაწილეობის უფლებას აძლევს და სამინისტროს არ აქვს უფლება შეზღუდოს სერტიფიცირებული პირების მონაწილეობა“,** — აცხადებენ სამინისტროში.

ამის მიუხედავად, პედაგოგთა გარკვეული კატეგორია და მშობლები სწორედ განათლების სამინისტროს ადანაშაულებენ.

**„ასეთი დირექტორები სკოლებში არ უნდა დააბრუნონ. განათლების სამინისტრომ ამისათვის ყველაფერი უნდა გააკეთოს. კატეგორიულად არ ვეთანხმები კანონს, რომ სკოლის დირექტორს სამეურვეო საბჭო ირჩევს, რადგან თავის დროზე სამეურვეო საბჭოს არჩევნები არც ისე სამართლიანად ჩატარდა. ამიტომ, მიმაჩნია, რომ სკოლის დირექტორი მხოლოდ მინისტრმა უნდა დანიშნოს“,** — აცხადებს 53-ე სკოლის მოსწავლის ერთ-ერთი მშობელი, რომელიც ვინაობას მხოლოდ იმიტომ არ ამჟღავნებს, რომ ეშინია, იმ შემთხვევაში, თუ მარიამ რამინაშვილი კვლავ სკოლის დირექტორი გახდება, მის შვილს „გადაეკიდება“.

რას უპასუხებს განათლების სამინისტრო დაზარალებულ პედაგოგებს და მშობლებს, ამას მალე გავიგებთ. ფაქტია, გათავისუფლებული დირექტორები ისევ თანამდებობაზე დასაბრუნებლად იბრძვიან და იმ შემთხვევაში კი, თუ სამინისტრო რამე ბერკეტს არ აამოქმედებს, განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა, სამინისტროს მიერ განხორციელებული ახალი სახელმძღვანელოებისა თუ სკოლების მშენებლობის პროექტებიც დაჩრდილოს.

სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.directors.-mes.gov.ge 18-დან 20 აგვისტომდე თავისუფალი იყო დარეგისტრირება და კონკურში მონაწილეობა. თითოეულ კანდიდატს სამი სკოლის არჩევის საშუალება ჰქონდა.

ვნახოთ, როგორ განვითარდება და დასრულდება დირექტორების შესარჩევი პროცესი.

**For.ge**

ალიანჩალიანი

# ხელოვნური თოვლი გუდაურსა და ბაკურიანში

**გუდაურის განვითარების სააგენტოსა და კომპანია DEMAKLENKO-ს შორის გუდაურსა და დიდველზე ხელოვნური გათოვლიანების სისტემის პროექტის განხორციელების შესახებ ხელშეკრულება გაფორმდა.**

**ხელშეკრულების თანახმად, კურორტებზე გეოლოგიური, გეოდეზიური და ტოპოგრაფიული სამუშაოები, წყლის ხელოვნური რეზერვუარების დაპროექტება და გუდაურსა და დიდველზე პირველი სასრიალო გზების გათოვლიანება განხორციელდება.**

**ხელმოწერა საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის ფარგლებში იტალიაში, ქალაქ ვიპიტენოში შედგა.**

**პროექტის განვითარების მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია გუდაურსა და დიდველზე წყლის ხელოვნური რეზერვუარის მშენებლობა და სასრიალო გზების გათოვლიანება. აღნიშნული პროექტის განხორციელებით სეზონის გახსნა აღარ იქნება დამოკიდებული ამინდზე, რაც სასრიალო სეზონის, დამსვენებელთა რიცხვის და კურორტის შემოსავლიანობის გაზრდას გამოიწვევს.**

ინტერპრესი



# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N 1 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია, „რუისის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 66 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 565 ლარი |
| 9 | ბეს ოდენობა (საწყისი ფასის 10 %) | 1 156.5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 513 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N 2 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტი უნდა დამუშავდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 153 300 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 26 661 ლარი |
| 9 | ბეს ოდენობა (საწყისი ფასის 10 %) | 2 666,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 5 532 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N 3 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს გამომუშავებული ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 184 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 087 ლარი |
| 9 | ბეს ოდენობა (საწყისი ფასის 10 %) | 3 208,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 617 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N 4 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტი უნდა დამუშავდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე;<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია, „აგარის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 189 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. მოხისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 974 ლარი |
| 9 | ბეს ოდენობა (საწყისი ფასის 10 %) | 3 297,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 6 795 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| | | |
|---|---|---|
| ობიექტი N 5 | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ბ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად |

| | | |
|---|---|---|
| | | წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. გუბისწყალზე, „იანეთის" ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია $P+C_1C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის (I და II უბანი ) ჯამური მოცულობა - 867 900მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. იანეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 116 373 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11 637,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 23 475 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი N 6

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს სამინისტრო უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმოწყობილობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ბორჯომი, 9 აპრილის ქ. №2, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეურნეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ბორჯომი, 9 აპრილის ქ. №2 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 32 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 206 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი N 7

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ხელი არ შეუშალოს ინვესტორს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და შპს „მტკვარი ენერგიას" შორის 2013 წლის 23 ნოემბერს მდ. მტკვარზე პოტენციური „გორი ჰესის" ტექნიკურ-ეკონომიკურ შესწავლაზე გაფორმებული მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში;<br>ბ)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვარზე ქვიშა-ხრეშის საბადო (კატეგორია – $C_1+C_2$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 157 200მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 21 078 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 107,8 ლარი |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი N 96** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 97 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 9,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი | 219 ლარი |
| | საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი N 97** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწყობა, ხოლო თვითმდენი |

| | | |
|---|---|---|
| | | ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ობიექტის მავთულ-ბადით შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შორაპანის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 800 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. შორაპანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 20 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 204 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი N 98

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი. საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდინი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ობიექტის (ჭაბურღილი) მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. თბილისის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 80 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 008 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 200,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 602 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი N 99

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარკვეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჯრუჭულის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 49 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარკვეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 7 023 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 702,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 605 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

### ობიექტი N 100

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი ნოსირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ტეხურაზე „ტეხურის" ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 48 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | სენაკის მუნიციპალიტეტი, სოფ. პირველი ნოსირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 6 938 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 693,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 588 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 2 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 2 ოქტომბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ძიუდო

# ბრინჯაოთი დაიწყეს, ბრინჯაოთი დაასრულეს



**ჩელიაბინსკში დამთავრებული ძიუდოისტთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს ჩვენმა ფალავნებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს — საქართველოს დელეგაციას ეს ჯილდო 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში ამირან პაპინაშვილმა მოუტანა. მერე ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მესამე მედალი (ბრინჯაო) ჩვენს გუნდს ვარლამ ლიპარტელიანმა (90) შესძინა. და აი, ასპარეზობის ბოლო დღეს გუნდურ პირველობაში ირაკლი უზნაძის შეგირდებმა მესამე ადგილი დაიკავეს. ჩვენები ქვეჯგუფში ჩეხეთსა და ყაზახეთთან ერთად მოხვდნენ. ორივე მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს. ჯერ ჩეხები დაამარცხეს 5:0: შალვა ქარდავამ (66) პაველ პეტრიკოვი დაჯაბნა, ოლიმპიურმა და ევროპის ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73) — იაკუბ იაცმინეკი, ზებედა რეხვიაშვილმა (81) იარომირ იეზეკს აჯობა. ბექა ღვინიაშვილს (90) მეტოქე არ გამოუცხადდა, ლევან მატიაშვილმა (+90) კი მიჰალ ჰორაკი შებოჭა.**

ყაზახეთთან შეხვედრისას ნაკრებს ლიდერები დაუბრუნდნენ. ამირან პაპინაშვილმა ვადამდე მოუგო იელდოშ ჟუმახანოვს, ავთანდილ ჭრიკიშვილმა რინატ იბრაგიმოვს დააყრევინა ფარ-ხმალი, ნუგზარ ტატალაშვილს იერტუგან ტორენოვის დასამარცხებლად იუკო ეყო, ბექა ღვინიაშვილმა სამატ იესენი შებოჭა, ხოლო ადამ ოქრუაშვილმა რუსლან აბდრაზაკოვთან დათმო პაექრობა.

ნახევარფინალში ჩვენები იაპონელებთან დამარცხდნენ 1:4, სამაგიეროდ, ბრინჯაოსთვის პაექრობაში ბრაზილიას აჯობეს 3:2. ის მომგებიანი ქულა გუნდს ლიპარტელიანმა (სხვათა შორის, იაპონელთაგან დაიკი ჯიშიამაც სწორედ ვარლამმა დაამარცხა) მოუტანა - დამაჯერებლად მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ტიაგო კამილოს.

ვაჟთა პირად ტურნირში მასპინძლებმა ვერც ერთი ოქრო ვერ მოიპოვეს. ალბათ, გუნდურში ფიქრობდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლას, რადგან ჯგუფში საქართველო და იაპონია აირიდეს, თუმცა ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს მაინც ვერ ასცდნენ — ფინალში დაუპირისპირდნენ. ორთაბრძოლებიც დიდი ენთუზიაზმით დაიწყეს. საამისოდ დიდი მოტივაციაც ჰქონდათ — გადამწყვეტ პაექრობას ქვეყნის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინიც ესწრებოდა. მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ, მაგრამ ძიუდოს ფუძემდებლებმა რუსები ოქრომდე მაინც არ მიუშვეს — დრამატულ პაექრობაში 3:2 მოიგეს და გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები.** 1. იაპონია, 2. რუსეთი, **3. საქართველო,** გერმანია.

**ქალები.** 1. საფრანგეთი, 2. მონგოლეთი, 3. იაპონია, გერმანია.

**ლაშა დიდია**

ჭადრაკი

# ძაგნიძემ მეოთხე საფეხურზე აინაცვლა



**ამას წინათ ტრომსოში გამართულ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ნანა ძაგნიძემ პირველ დაფაზე 9-დან 8 ქულით ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ წარმატებამ მას საშუალება მისცა საერთაშორისო კლასიფიკაციაში ორი საფეხურით წინ წაწეულიყო და ფიდეს საპირველსექტემბრო რეიტინგში 2566 პუნქტით მეოთხეა. მასთან ერთად პირველ ათეულში არიან:** იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2675), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2663), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2598), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2561), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2551), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2543), ვალენტინა გუნინა (რუსეთი, 2540), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2540), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525). ქართველთაგან ქალთა ასეულში, ასევე, შედიან: 16. ბელა ხოტენაშვილი (2507), 27. ლელა ჯავახიშვილი (2476), 33. ნინო ხურციძე (2467). 34. სალომე მელია (2464), 52. ნინო ბაციაშვილი (2426), 73. სოფიკო გურამიშვილი (2393), 84. თამარ წერეთელი (2375), 91. მაია ლომინეიშვილი (2366), 97. სოფიო გვეტაძე (2361).

ვაჟთა ასეულში ერთადერთი ქართველია — ბაადურ ჯობავა, რომელსაც 2708 პუნქტით 41-ე ადგილი უკავია. საუკეთესო ათეული: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2870), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2804), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2801), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2789), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2785), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2784), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2782), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2777), მაქსიმ ვაშიე — ლაგრავი (საფრანგეთი, 2768), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2760).

**ლექსო ცინცაძე**

# ხოტენაშვილის ვერცხლი



**გერმანიის ქალაქ ერფურტში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა წრიული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 10 მანდილოსანი მონაწილეობდა, მათ შორის ორი — საქართველოდან.** ბელა ხოტენაშვილმა 9 შესაძლებლიდან 6 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. ქართველ დიდოსტატს ნახევარი ქულით გაუსწრო პოლონელმა მონიკა სოჩკომ, რომელმაც მთავარი პრიზი მოიპოვა. 5.5-5.5 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები შენ იანმა (ჩინეთი), ლელა ჯავახიშვილმა და ელიზაბეტ პეტცმა (გერმანია) გაიყვეს. მომდევნო ადგილებზე მოდიან; ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი)-5, ლილით მკრტიჩიანი (სომხეთი)-3.5, ქეთევან არახამია-გრანტი (შოტლანდია), ტატიანა მელამედი (გერმანია)-3-3, ქეთევან კახიანი-გერშინსკა (გერმანია)-1.5 ქულა.

**გივი გაგუა**

წყალბურთი

# ბოლო შეხვედრაც წააგეს



**თბილისის საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დამთავრდა 19-წლამდელ წყალბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის ფინალური ეტაპი 16 გუნდის მონაწილეობით. საქართველოს ნაკრებმა, სამწუხაროდ, ყველა შეხვედრა წააგო და საბოლოოდ მე-16 ადგილზე გავიდა. ჩვენებმა ბოლო პაექრობა სლოვაკებთან დათმეს 7:8 (1:0, 1:3, 3:1, 2:4).**

**XIII-XIV ადგილებისთვის:** გერმანია — უკრაინა 12:8 (4:3, 4:3, 2:2, 2:0)

**XI-XII ადგილებისთვის:** საფრანგეთი— თურქეთი 8:7 (2:2, 3:2, 1:1, 2:2)

**IX-X ადგილებისთვის:** რუსეთი — რუმინეთი 11:7 (2:1, 4:1, 3:2, 2:3),

**VII-VIII ადგილებისთვის:** ესპანეთი — ჰოლანდია 7:6 (3:1, 2:1, 1:2, 1:2)

**V-VI ადგილებისთვის:** საბერძნეთი-ჩერნოგორია 12:8 (4:3, 2:3, 2:0, 4:2),

**ბრინჯაოსთვის:** ხორვატეთი — იტალია 8:4 (0:0, 0:2, 4:0, 4:2).

**ოქროსთვის:** სერბეთი — უნგრეთი 7:6 (3:1, 1:1, 1:3, 2:1)

**ვაჟა ნოსირელი**

კალათბურთი

# ესპანელები არავის ინდობენ



**მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ესპანეთი ტურნირის სტარტზე ჩინებულ თამაშს აჩვენებს. ხუან ორენგას ბიჭებმა პირველ მატჩში ირანს 30 ქულით სძლიეს, მეორე თამაშში კი კიდევ უფრო შორს წავიდნენ და ეგვიპტე 91:54 გაანადგურეს.**

მეტოქის უსუსურობიდან გამომდინარე, პირენეელთა თავკაცმა სათადარიგო კალათბურთელები საკმაოდ დატვირთა, თუმცა, შედეგიანობის მხრივ, მაინც „ძველი გვარდია" გამოირჩა.

სერჟ იბაკამ 18 ქულა და 8 მოხსნა მოაგროვა, რუდი ფერნანდესმა 14 ქულა ჩააგდო, პაუ გასოლმა კი — 12. ესპანელებმა აფრიკელებს მოხსნებში 47:32 სძლიეს, პასებში 22:5 აჯობეს, დაფარებებში კი — 6:1.

ფავორიტთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ამერიკელთა შთამბეჭდავი თამაში, რომლებმაც ფინეთი და თურქეთი დასცეს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

დანაკარგი

# გარდაიცვალა რალის პირველი მსოფლიო ჩემპიონი



**70 წლისა კიბოთი გარდაიცვალა რალიში მსოფლიოს პირველი ჩემპიონი, შვედი ბიორნ ვალდეგაარდი. კენიაში მას ლომს უწოდებდნენ - საფარის უმძიმესი რალის ოთხგზის გამარჯვებულს სხვა სახელი არც ეკადრებოდა. რალის მრბოლის კარიერა 19 წლისამ დაიწყო და სამ წელიწადში შვედეთის რალი კვარცხლბეკზე დაასრულა, ორი წლის შემდეგ კი შვედეთის ჩემპიონი გახდა.**

ვალდეგაარდს რალის მსოფლიო ჩემპიონატებზე სულ 95 რბოლაში მიუღია მონაწილეობა და მათგან 16 აქვს მოგებული, მათ შორის მონტე კარლოს, აკროპოლისის და სპილოს ძვლის ნაპირების რალი. კვარცხლბეკზე 35-ჯერ ავიდა, მოიგო 290 სპეცმონაკვეთი და კარიერაში 428 ქულა დააგროვა. რალის მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლო გამარჯვება 1990 წლის საფარიზე, 46 წლისამ (ტოიოტა სელიკა) მოიპოვა, რითაც რალის მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში ეტაპის ყველაზე ხნიერი გამარჯვებულის სტატუსს აქამდე ინარჩუნებს და ალბათ მას ველარავინ ჩამოართმევს. მსოფლიო ჩემპიონატზე ბოლოსაც საფარიზე, 1992 წელს იასპარეზა, რომელიც ავარიით და ხელის მოტეხილობით დაასრულა.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან



# მირანდა ცხენებზე გიჟდება

**ცნობილი ავსტრალიელი მოდელი მირანდა კერი საცხენოსნო სპორტის სახეობების დიდი მოყვარული ყოფილა. მირანდა სწავლობდა ცხენზე ჯირითს ბებიის ფერმაში და იხსენებს იმ დროს, როგორც ყველაზე ლაღ პერიოდს.** მისი თქმით, ეს იყო ადგილი, სადაც არავის ადარდებდა რა გეცვა და მისმა ბავშვობამ სწორედ ისე ჩაიარა, რომ ყოველთვის აკვირდებოდა ადამიანებს ხასიათით და არა ჩაცმულობით.

მირანდა კერი ცნობილი მსახიობის ორლანდო ბლუმის მეუღლე გახლავთ. ისინი ერთმანეთს 2006 წელს მოდის ჩვენებაზე ნიუ-იორკში შეხვდნენ, 3 წლის შემდეგ კი ნიშნობა ჰქონდათ. დღეს მირანდა და ორლანდო ჰოლივუდში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილია.

წყვილს შვილი გასული წლის იანვარში შეეძინა. მირანდამ ერთ-ერთი ჟურნალის ფურცლებზე აღნიშნა, რომ მან შვილს სახელი ძველი შეყვარებულის პატივსაცემად შეურჩია. ბიჭუნას ფილ კრისტოფერი დაარქვეს.

**როსტომ რაჭველიშვილი**

## ალიანჩალიანი

### სასწრაფო დახმარება ჩვეული რეჟიმით მუშაობს

**სასწრაფო** სამედიცინო დახმარების ცენტრი პაციენტების მომსახურებას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს. ამის შესახებ განცხადებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ავრცელებს.

— მოსახლეობაში გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი გაცნობებთ, რომ პაციენტების მომსახურება გრძელდება ჩვეულ რეჟიმში, ყოველგვარი შეზღუდვებისა და დამატებითი რეგულაციების გარეშე, — აცხადებენ ცენტრში.

ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ 1 სექტემბრიდან სასწრაფო დახმარების გამოძახებების კლასიფიკაცია პრიორიტეტების მიხედვით მოხდებოდა და ადგილზე მისვლა არა რიგითობის, არამედ გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდებოდა. პრიორიტეტებს კი თავად დისპეტჩერები განსაზღვრავდნენ.

ამასთან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სასწრაფო დახმარების გამოძახებაზე ცვლილებები ეტაპობრივად, წლის ბოლომდე განხორციელდება.

### გრძელდება სოფლების გამრიცხველიანება

**ინდივიდუალური** გამრიცხველიანება კიდევ 341 სოფელში დასრულდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიადან“ აცნობეს, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ კომპანიის 51 973 აბონენტს ევროპული სტანდარტების ინდივიდუალური მრიცხველები დაუმონტაჟა.

მათივე ინფორმაციით, გამრიცხველიანების პროექტის საინვესტიციო თანხამ 1 293 250 ლარი შეადგინა.

— რეგიონების ინდივიდუალური გამრიცხველიანება გრძელდება, რადგან ის ჩვენი კომპანიისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული პროექტთაგანია. ჩვენი ტექნიკური სამსახური მაქსიმალურად ცდილობს, სამუშაოები წარმართოს ეფექტურად, რაც გვეხმარება აბონენტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში, — აცხადებენ „ენერგო-პრო ჯორჯიას„ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში.

კომპანიის ინფორმაციით, გამრიცხველიანებასთან ერთად აქტიურად მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოებიც.

### პოლიციის მაღალჩინოსნებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

**მესტიის** პოლიციის უფროსმა და მისმა მოადგილემ კვირას განყოფილების ინსპექტორ-გამომძიებელი რომან ყორშია სცემეს, — ამის შესახებ ინფორმაციას მესტიის პოლიციის თანამშრომელი ზვიად ჭანტურია ავრცელებს.

ჭანტურიას ინფორმაციით, იგი პირადად შეესწრო ფაქტს, როდესაც პოლიციის უფროსმა გიორგი მარსაღანიშვილმა და მისმა მოადგილემ გიორგი ჯაფარიძემ გამომძიებელს დაარტყეს და წააქციეს.

მისივე თქმით, ყორშიას დაზიანებები სახის არეში აქვს მიყენებული. ჭანტურია აცხადებს, რომ ინციდენტის დროს ხელი მასაც მოხვდა. ჭანტურია ამბობს, რომ პოლიციის უფროსის მოადგილე მას დაემუქრა.

რაც შეეხება ნაცემ ყორშიას, ჭანტურიას თქმით, მას ტუჩის არეში ნაკერი დაადეს.

### მაშველებმა გზააბნეული ტურისტები ვერტმფრენით ჩამოიყვანეს

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, დაბა გუდაურის ზემოთ, არაგვის ხეობის ერთ-ერთ კლდეზე იმყოფებოდა სამი მოლაშქრე, რომლებიც ჩამოსვლას ვერ ახერხებდნენ.

საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს მეექვსე ქვეგანყოფილების სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე გავიდა შემთხვევის ადგილზე. რთული რელიეფის გამო, სამაშველო ჯგუფმა ადგილამდე მისვლა ვერ მოახერხა, რის გამოც საჭირო გახდა სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი. მაშველებმა გზააბნეული სამი ტურისტი თბილისში უვნებლად ჩამოიყვანეს.

## სულთათანა

# ჩვენი ტკივილი



კიდევ ერთი, სამშობლოსთვის დამაშვრალი ადამიანი წავიდა ამ ქვეყნიდან, იმ თაობის ადამიანი, რომლის დამსახურების გახსენება, დროთა მეფობის გამო, რატომღაც მიღებული არ არის.

დიახ, იყო **ბელა მაჭაშვილი**, თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, განათლებით, პროფესიონალიზმით, დემოკრატიულობით და ქვეყნისა და ხალხის წინაშე ღრმა პასუხისმგებლობით გამორჩეული პიროვნება, რომელიც არც ერთ მამაკაცს ტოლს არ უდებდა საქმიანობაში.

საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ბელამ მუშაობა დაიწყო თავისი სპეციალობით და დიდი და შინაარსიანი გზა გაიარა წარმოების რიგითი ინჟინრიდან საქ. მსუბუქი მრეწველობის მინისტრამდე. იგი თავდადებით იბრძოდა დარგის განვითარებისათვის და შედეგიც სახეზე იყო — საქ. მსუბუქი მრეწველობა ერთ-ერთ წამყვან დარგად ითვლებოდა ყოფილ სსრკ-ში.

სამწუხაროდ, ქვეყანაში დატრიალებული კატაკლიზმების შედეგად, დარგმა ნგრევა დაიწყო. ბელასა და მისი თანამოაზრეების მცდელობის მიუხედავად, დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ ჯეროვნად ვერ შეაფასა დარგის მნიშვნელობა ქვეყნისათვის. ბევრი კარგი პროექტი, რომლებიც წლების განმავლობაში მუშავდებოდა, განუხორციელებელი დარჩა. ბელა ამას მწარედ განიცდიდა, განსაკუთრებით წუხდა „საქ.აბრეშუმის“ პროექტის მიმართ ხელისუფლების უყურადღებობაზე.

არადა, ქართული აბრეშუმი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე უცხოეთშიც.

ბელა აქტიურად მონაწილეობდა პარტიულ მშენებლობაშიც: იყო პარტიის რაიკომის განყოფილების გამგე, არჩეული იქნა თბილისის საქარხნო რაიკომის II მდივნად, გორის ქალაქკომის I მდივნად. გორში მისი მოღვაწეობის პერიოდი გამოირჩეოდა ქალაქის წარმატებებით ეკონომიკისა თუ სოციალურ სფეროში. ამ წარმატების საფუძველი ქალაქკომის აქტიური თანამშრომლობა გახლდათ ქალაქის ინტელიგენციასა და მშრომელებთან, რითაც ბელამ მათ შორის დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, რაც სიცოცხლის ბოლომდე მოჰყვებოდა კეთილ საგზლად.

ბელას საკუთარი ოჯახი არ ჰყოლია, მაგრამ გარემოცული იყო ძმის ოჯახის — ნონას, ნინოს და ზაზას დიდი სიყვარულით, რაც გარკვეულწილად უმსუბუქებდა ქალისათვის უჩვეულო შრომას.

წავიდა ქართველთა სახელოვანი გვარის ღირსეული წარმომადგენელი და თან წაიღო, როგორც დიდი ილია იტყოდა, ჩვენი წილი მზის სხივი, სიყვარული და პატივისცემა, ჩვენ კი დაგვიტოვა ტკივილიანი სევდა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

**ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ნათელა ლაღიძე, მაღონა მგელაძე, ლამარა გაგუა, დალი ბოჯგუა, ლია ლომიძე, მარინე ილაშვილი.**

## სანთელი

# ლარისა ვაშაკიძე



მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი **ლარისა ვაშაკიძე**.

ლ. ვაშაკიძე ინსტიტუტში მუშაობდა 1958 წლიდან, დაუკავშირა რა მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა ამ სამეცნიერო დაწესებულებას: სხვადასხვა დროს იყო ვაზის სელექცია-ამპელოგრაფიის განყოფილების ასპირანტი; ციტოგენეტიკის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი და ამ ლაბორატორიის გამგე; ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყოფილების გამგის მოადგილე; მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

1965 წელს მ. ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გენეტიკისა და ციტოლოგიის სრული კურსის მოსმენის შემდეგ მიიღო ციტოლოგის კვალიფიკაცია. 1965 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე „საღვინე ვაზის ახალი ჰიბრიდების გამოვლინება ქართლის პირობებისათვის“ და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. 1980 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ-მუშაკის წოდება გენეტიკის განხრით. 2006 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ვაზის ქართული გენოტიპების იდენტიფიკაციისა და ზოგიერთი ფიტოტექნიკური ღონისძიების ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები“.

ლ. ვაშაკიძეს გამოქვეყნებული აქვს 165 სამეცნიერო შრომა, ერთი მონოგრაფია და სამი გამოგონება ვაზისა და ხეხილოვანი კულტურების ციტოგენეტიკაში, სელექციასა და ჯიშთმცოდნეობაში. აღზრდილი ჰყავს ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი.

ლ. ვაშაკიძე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გენეტიკისა და სელექციონერთა საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და ამ საზოგადოების სწავლული მდივანი 1971-1996 წლებში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენითა და აკად. ნ. ვავილოვის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლით.

ლარისა ვაშაკიძის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების გულში.

**მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის კოლექტივი**

### წნორის მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით ისარგებლებს

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ქალაქ წნორის მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად მასშტაბური პროექტის განხორციელება დაიწყო. ადგილობრივი მოსახლეობა 24-საათიანი წყალმომარაგებით და ახალი ცენტრალური წყალსადენის სისტემით ისარგებლებს.**

სამშენებლო სამუშაოების გახსნას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი, „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორი არჩილ ცაბუტაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი შიოლაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ.

სამუშაოებს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა“ და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის კოორდინირებით, ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანია „ზიმო“ განახორციელებს. პროექტს, რომლის საერთო ღირებულება 8 მილიონ ლარზე მეტია, ევროპის საინვესტიციო ბანკი და ევროკავშირი აფინანსებს. სამუშაოებზე 500-მდე ადამიანი დასაქმდება.

პროექტის ფარგლებში, გათვალისწინებულია 1250-კუბიანი რეზერვუარის, სატუმბი სადგურის, ჭაბურღილებისა და საქლორატოროს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. ასევე, იგეგმება მილსადენების, რეზერვუარების, ქალაქის შიდა გამანაწილებელი ქსელების სრული რეაბილიტაცია და ქალაქის ქსელის I-II-III ზონის მოწყობა. პროექტი 2016 წელს დასრულდება.

ამ დრომდე წნორში წყალმომარაგების სისტემა, ფაქტობრივად, არ არსებობს და ქალაქის 6400 მოსახლე სასმელ წყალს, ცალკეული უბნების მიხედვით, საუბნო ჭაბურღილებიდან იღებს. საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელებას, რომლის საერთო ღირებულება, დაახლოებით, 100 მილიონი ლარია, საქართველოს მასშტაბით, 28 ქალაქში გეგმავს.

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

თენგიზ მენთეშაშვილი, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, ნიკოლოზ ნეფედოვი, ავთანდილ საყვარელიძე, ზაურ მესხიშვილი, ჯემალ კუხალაშვილი, მიშა წულაძე, გივი აბდუშელიშვილი, ედუარდ კანდელაკი, თემურ თოფურიძე, ნიკო ლეკიშვილი, დავით სალარიძე, აბესალომ იმედაშვილი, ედუარდ ვასილევი, კოტე ჟღენტი, ვახტანგ კიკნაძე, გურამ დიდბარიძე, ზურაბ ლელაშვილი, ლევან დოლიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან კოლეგისა და მეგობრის

**ვასილ ჩომახიძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილი ოჯახს.

---

ოთარ ჭითანავა, გიორგი ყუფუნია, საზოგადოება „ჭკადუაშელის“ სახელით თანაუგრძნობენ ქეთო და გია ჭითანავებს მამისა და სიმამრის, დიდებული პიროვნების

**რეზო ჯალაღონიას**

გარდაცვალების გამო.

---

შოთა, ნათელა გამყრელიძეები იუწყებიან შესანიშნავი ვაჟკაცის

**თემიკო დევდარიანის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის დამწუხრებულ ოჯახს.

## გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები სექტემბერში

**სექტემბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია**
**4, 8-11, 16, 20, 23-30 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის გაზრდა, სეისმოაქტიურობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.**

**2 – მთვარის პირველი მეოთხედი, მერკური გადადის სასწორის ნიშანში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. ქრონიკულ დაავადებათა გამწვავების, მაღალი აქტიურობის, საერთო ნერვიულობისა და უყურადღებობის ფონზე, დიდია დავებისა და კონფლიქტების ალბათობა. შესაძლებელია ღვიძლის, ნერვული სისტემის, სასუნთქი ორგანოების, ხელებისა და სახსრების და-



ავადებანი. სასარგებლოა დავიცვათ დიეტა. უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. სარგებელს მოგვიტანს აბაზანები და სასუნთქი ვარჯიშები ნერვების დაავადების დროს, სახსრებს კი კარგად ეხმარება მაგნიტი. ეცადეთ, დაიცვათ სიმშვიდე, ნუ იდავებთ, დიდხანს იყავით სუფთა ჰაერზე.

**4 – მთვარის პლუტონთან შეერთება თხის რქაში.** შესაძლებელია სასიცოცხლო ცხოვრების ძალების დასუსტება, ემოციური ფონის ტონუსის დაქვეითება. შესაძლებელია მოძრავ საყრდენი აპარატის დაავადებათა გამწვავება. არ არის სასურველი გადაცივება, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა და სიმძიმეების გადატანა. ახალი ვალდებულებების აღების დროს ფხიზლად შეაფასეთ თქვენი ძალები და შესაძლებლობანი.

**8 – მთვარის შეერთება ნეპტუნთან თევზებში.** დაიცავით დიეტა. იყავით ყურადღებით თქვენს დოკუმენტებთან და ნივთებთან დაკავშირებით – შესაძლებელია ქურდობა და დაკარგვა. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების რეფლექსური ზონების მასაჟი, მსუბუქი გასეირნება.

**9 – სავსე მთვარე.** შესაძლებელია არტერიული წნევის ხტომები. მწვავე ანთებითი რეაქციები, სტენოკარდიის შეტევები. არ არის რეკომენდებული დავგეგმოთ დღეისათვის ოპერაციები, კბილის ამოღება, აცრები, გამოვიყენოთ ალკოჰოლი, ჩავერთოთ კონფლიქტებში და დავიწყოთ ურთიერთობათა გამორკვევა.

**16 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი, მთვარის აპოგეა.** შესაძლებელია ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, სარძევე ჯირკვლების დაავადებანი. არ არის გამორიცხული შეშუპება და საკვების გადამუშავების დარღვევა. პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს ალკოჰოლის, ცხარე და ცხიმიანი საკვების მოხმარებისაგან.

**20 – მთვარის შეერთება იუპიტერთან ლომში.** შეიძლება შეინიშნებოდეს აფეთქებულობა და გაღიზიანება, სურვილი – იყოთ ყურადღების ცენტრში. აუცილებელია გავუფრთხილდეთ გულსა და სისხლძარღვებს. ნუ გადატვირთავთ თავს ფიზიკური ვარჯიშებითა და უარყოფითი ემოციებით. სასარგებლოა სამკურნალო გიმნასტიკა, მსუბუქი გასეირნებები.

**23 – მთვარის შეერთება ვენერასთან ქალწულში.** შესაძლებელია ტკივილები კუჭში, საკვების გადამუშავების დარღვევები, სასარგებლოა გასეირნება, გონებრივი და ფიზიკური ვარჯიშები, ჰაერის აბაზანები და სრულფასოვანი ძილი.

**24 – ახალი მთვარე.** დაქვეითებულია იმუნიტეტი, ორგანიზმი დასუსტებულია, დიდია სულიერი და ფიზიკური სისუსტეები, შესაძლებელია უყურადღებობა და სიტუაციის არასწორი შეფასება. არახელსაყრელი დროა ახალი საქმეების წამოწყებისათვის.

**28 – მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში, მერკური გადადის ღრიანკალის ნიშანში.** შესაძლებელია დაბნეულობა, უყურადღებობა, გაზრდილი ემოციურობა. არ არის გამორიცხული ოსტრეოქონდროზის და სახსრების დაავადებათა გამწვავება. სასურველია, არ მიიღოთ ცხიმიანი და ცხარე საკვები, ალკოჰოლი, ერიდეთ გაციებას, არ ასწიოთ სიმძიმეები. არ არის რეკომენდებული ახალი საქმეების წამოწყება.

**29 – მთვარის შეერთება მარსთან მშვილდოსანში.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის რყევები. დიდია კონფლიქტების ალბათობა. არახელსაყრელი დროა ურთიერთობათა გარკვევისათვის. შესაძლებელია ფილტვების, ნაღვლის ბუშტის, რადიკულიტის დაავადებანი. რაციონიდან ამოიღეთ ცხარე და მარილიანი საკვები, ალკოჰოლი. სასარგებლოა მასაჟი, ფიზიკური და სასუნთქი ვარჯიშები.

## ინფორმაცია

### ავტომობილის ახალი სანომრე ნიშნების ასაღებად რიგები დგას




**შინაგან** საქმეთა სამინისტროს მომსახურების სამინისტროში დილიდან ახალ სანომრე ნიშნებზე რიგები იდგა.

საქართველოს შს სამინისტროს მომსახურების სააგენტომ პირველ სექტემბერს ახალი დიზაინის სანომრე ნიშნების გაცემა დაიწყო.

საქართველოს ავტოპარკის მოთხოვნების გათვალისწინებით ამერიკის შეერთებული შტატებიდან და იაპონიიდან იმპორტირებული ავტომობილებისათვის მომხმარებელს საშუალება ექნება, აიღოს და ავტომობილზე განათავსოს შესაბამისი ზომის კვადრატული სანომრე ნიშნები.

სანომრე ნიშნების მიღება შესაძლებელია მოსახლეობის სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში, ხოლო დაინტერესებული პირის მოთხოვნით სანომრე ნიშნების დამზადება (ფასიანი სანომრე ნიშანი) შესაძლებელია რუსთავში, ქუთაისში და ბათუმში მდებარე სტრუქტურულ ერთეულებში. რაც შეეხება სხვა ერთეულებს, სანომრე ნიშნების მიღება შესაძლებელია მისი შეკვეთიდან რამდენიმე დღეში. ძველი დიზაინის სანომრე ნიშნების შეცვლა სავალდებულო არ იქნება 2020 წლის პირველ სექტემბრამდე.

## ჩვენი კარაბადინი

### დიაგნოზს ოპტიკური ბოჭკო „გვიკარნახებს“

**ანალიზისთვის სისხლის ჩაბარება არც თუ დიდად სასიამოვნო პროცედურაა, მით უმეტეს მაშინ, როცა საჭიროა მისი ვენიდან აღება, თანაც პასუხის მისაღებად გარკვეული დროა საჭირო. არადა, ზოგჯერ ეს დრო უკიდურესად შეზღუდულია, მაგალითად მაშინ, როცა რაღაც ექსტრემალურ შემთხვევაში საჭიროა, ვთქვათ, პაციენტის ან დონორის სისხლის ჯგუფის დადგენა. ამიტომ მედიკოსებმა სისხლის ანალიზის უფრო ხანმოკლე და, ამავდროულად, იაფიანი მეთოდის შემუშავება გადაწყვიტეს, რა მიზნითაც ოპტიკური ბოჭკოს გამოყენებას აპირებენ.**



ეს სწორედ ის ოპტიკური ბოჭკოა, რომლის მეშვეობით ჩქაროსნული ინტერნეტით და საკაბელო ტელევიზიით ვართ უზრუნველყოფილნი. მისი გამოყენება სისხლის სწრაფი, მარტივი და იაფიანი ანალიზის ჩასატარებლად უშუალოდ ვენებში ჩადგმით შეიძლება.

ზოგადად, ადამიანის ორგანიზმში ოპტიკური ბოჭკოების გამოყენება ძალიან ჰგავს მონაცემთა გადაცემის პროცესს. ადამიანის თმის სისქის ბოჭკოს რთული აგებულება გარკვეულ მოლეკულათა ერთობის რეგისტრირების საშუალებას იძლევა, რომლებიც, ვთქვათ, რომელიღაც სნეულებისთვისაა დამახასიათებელი. სპექტრომეტრი ამ სპეციფიკურ მოლეკულებს აღნუსხავს. ერთდაერთი მოწყობილობა, რაც სპეციალისტს დიაგნოსტირებისას დასჭირდება, თანამედროვე პლანშეტების ზომისა იქნება.

აღნიშნული სისტემა თანამედროვე ტექნოლოგიებისგან განსხვავდება, რომელთა გამოყენებისას ჩიპის მეშვეობით შესაძლებელია განსაკუთრებით საშიშ სნეულებათა დადგენა და მასთან შედარებით დიდი უპირატესობა აქვს.

პირველმა გამოცდილებამ დაადასტურა ახალი მეთოდის პერსპექტიულობა, ახლა საქმე მისი სრული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზეა.

## ცინცხალი ანეკდოტები

– **რაიმე** ძლიერი დამამშვიდებელი ტაბლეტები გაქვთ? – ეკითხება აფთიაქში შესული ტიპი ფარმაცევტს.
– გვაქვს, მაგრამ ისინი მხოლოდ რეცეპტებით გაიცემა.
– ამას არა აქვს მნიშვნელობა. ახლავე გადაყლაპეთ ორი ტაბლეტი, რადგან ეს ძარცვაა.

* * *

– **მინდა**, რომ დაგიბრუნოთ პისტოლეტი, რომელიც ჩემმა ცოლმა გუშინ თქვენს მაღაზიაში შეიძინა, – ეუბნება ტიპი იარაღის მაღაზიის გამყიდველს.
– რატომ, არ მუშაობს?
– არა, ყველაფერი ნორმალურადაა, იარაღი კარგად მუშაობს, მაგრამ ჩვენ უკვე შევრიგდით.

* * *

– **ჯარში** სად მსახურობდი? – ეკითხებიან პეტკას.
– პარიზის სიახლოვეს.
– ვაჰ, რა მაგარია! მაგრამ კონკრეტულად მაინც სად?



– ჩელიაბინსკში.
– ერიჰა, ეს არის, სიახლოვესო?
– რა ვიცი, ჩვენი მეთაური ამბობდა, რაკეტისთვის სულ რაღაც 12 წუთის საფრენიაო.

* * *

– **რით** გარდაიცვალა ქვის საწოლის გამომგონებელი?
– მას ბალიში დაეცა.

* * *

**ზოოპარკში** ლომს ბოცვერი შეუგდეს საჭმელად.
იქ რა მოხდა, არავინ არ იცის, მაგრამ ფაქტია, რომ ლომს ასეთი სირცხვილი მანამდე არ უჭამია.

* * *

– **რატომ** ეყრებით ერთმანეთს? – ეკითხება მოსამართლე ცოლ-ქმარს.
– იმიტომ, რომ დავქორწინდით...

* * *

– **არასოდეს** არ მიუშვიროთ იარაღი ადამიანებს, თუნდაც, იგი დაუტენავი იყოს.
– მაშინ როგორ დავხოცოთ ისინი?

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434
გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)
uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35
მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24